„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№5 (321)
მაისი
2025 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეშვიდე წელი "LITERATURULI MESKHETI"

მურმან პაპაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, შუა საუკუნეების ისტორიის მიმარულების ხელმძღვანელი

ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი და კათოლიკობა

დასმული პრობლემა პოლიტიკური და კონფესიური ტენდენციის მატარებელია და რადგან, ჩვენი აზრით, პოლიტიკურმა ფაქტორმა განსაზღვრა კონფესიური, პირველ რიგში ქართლის სამეფოს შიდა პოლიტიკური მოვლენების ზოგად სურათს წარმოვაჩენთ. ეს გულისხმობს **ბარძიმ არაგვის ერისთავისშვილსა** და ქართლის მეფე **გიორგი XI-ს** შორის კონფლიქტურ ურთიერთობებს, რასაც გააჩნია კონკრეტული ქრონოლოგიური ჩარჩო _ 1688-1691 წლები. ურთიერთდაკავშირებული მოვლენების განვითარებაც ამ ჩარჩოში იქნება წარმოდგენილი. ახლა უშუალოდ საკითხზე:

ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი XVII საუკუნის 80-90-იანი წლების ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწეა. მას 1689-1692 წლებში ამ სამეფოში მსაჯულთუხუცესის (მდივანბეგი) თანამდებობა ეკავა. მის შესახებ ცნობები მხოლოდ **ვახუშტი ბატონიშვილის** თხზულებაში გვხვდება *(მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, გვ. 169; ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 464; 468;)*, რაც ძალზე მწირია. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, ბარძიმი იყო გიორგი არაგვის ერისთავის ძმა. ამ უკანასკნელს 1688 წელს ქართლის მეფის გიორგი XI-ის (1676-1688) მიერ ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების პოლიტიკის მოწინააღმდეგე მსხვილ ფეოდალთა ბანაკში ვხედავთ. საგულისხმოა, რომ გიორგი არაგვის ერისთავი გიორგი მეფის ბიძას (დედის მხრიდან) ჯარის მხედართმთავარ **თამაზ ყაფლანიშვილის** სიძე იყო. ჩვეულებისამებრ კერძო ფეოდალურმა ინტერესმა, რომ ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება გიორგი არაგვის ერისთავს ყველაფერს წაართმევდა *(ვახუშტის სიტყვებით: „იგი შეიმუსვროდა“, ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება..., გვ. 461)*, მხედართმთავარი **თამაზ ყაფლანიშვილი** ირანოფილური პარტიის მომხრედ აქცია. საკუთრივ კი **გიორგი ერისთავმა,** მეფე გიორგის წინადადება, რომ მასთან გაერთიანებულიყო, არ მიიღო *(ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება..., გვ. 461)*. ამ მომენტში ჩვენთვის საინტერესოა ბარძიმს თუ რა პოზიცია ეკავა, წყაროში ასე იკითხება: ***„ნაწილობრივ ის (ბარძიმი-მ.პ.) არის მიზეზი საქართველოს არეულობისა, რომელიც გიორგი მეფის წინააღმდეგ ყოველთვის გაგულისებული იყო“*** (Archivio di Propaganda Fide...f. 403). ამდენად, ბარძიმი გიორგი მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკშია. ახლა მოკლედ შემდეგზე:

მეფე გიორგი XI-ის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა და ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების მისეული გეგმა ირანის ცენტრალური ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ ირანის შაჰმა ურჩი მეფე გადააყენა და მის ნაცვლად ქართლის მეფედ ირანში მყოფი და იქვე მისდაუნებურად გამუსლიმებული **ერეკლე I** (1688-1703) დასვა. გიორგი მეფე იძულებული გახდა იმერეთის სამეფოსთვის შეეფარებინა თავი და იქიდან განეგრძო ბრძოლა ტახტის დაბრუნებისათვის.

ქართლის ტახტზე დამკვიდრებულ ერეკლე I-ს, ცხადია, საყრდენი ძალები სჭირდებოდა. მან სხვადასხვა თანამდებობებზე თავისი მომხრეები დანიშნა და მათ შორის იყო ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი. ვახუშტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ერეკლე მეფემ **„დაადგინა კარისა თვისისა გამგედ მსაჯულთუხუცესად ბარძიმ, ძმა გიორგი ერისთავისა“** *(ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება..., გვ.,464)*, რომელიც იმავე ვახუშტის დახასიათებით **„... ბარძიმ იყო ამაყი, თავხედი, კადნიერი და არა რად ვინმე ჩნდა და უმეტეს კახნი“** *(ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება..., გვ. 468)*. მოკლედ, ამგვარი იყო ის შიდა პოლიტიკური პროცესი, რომლის გზაზე ხდება ბარძიმ ერისთვისშვილის მიერ კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასვლა მეტნაკლები სიზუსტით 1690 წლის მიწურულს. და აქვე დგება მარტივი კითხვა: რა მიზნით მიიღო ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილმა კათოლიკური სარწმუნოება? ამ კითხვაზე პასუხი ვერ გაიცემა, თუ ზოგადად მაინც არ წარმოვადგინეთ XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რა წინსვლა ჰქონდა ქართლის სამეფოში კათოლიკე მისიონერთა საქმიანობას. უკვე ცნობილი და დღემდე უცნობი მასალები ვატიკანის არქივიდან ასეთი სურათის დახატვის საშუალებას გვაძლევს.

ქართლის სამეფოში 1663 წლიდან მოღვაწე კაპუცინმა მისიონერებმა 1677-1690 წლებში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს თბილისისა და გორის მისიონში. ამ წარმატებას სათავე დაუდო ქართლის მეფის **გახტანგ V-ის** განსაკუთრებით კეთილმყოფელმა დამოკიდებულებამ მისიონერების მიმართ. ამ საინტერესო საკითხზე არ გავაგრძელებთ საუბარს, თუმცა სასურველად ჩავთვალეთ ერთი მცირე ამონარიდის მოტანა. აი, რას წერს კათოლიკე მამების მიმართ ვახტანგ V-ის დამოკიდებულებაზე კაპუცინი მისიონერი **ჯუზეპე ანტონიო რომანო** 1677 წლის რელაციონეში: *„ეს ვიცე მეფე (ვახტანგ V ანუ შაჰნავაზი-მ.პ.) იყო ყოველთვის კეთილი ჩვენს მიმართ, უფრო მეტიც, ის იყო ჩვენი ნამდვილი მამა“* (Archivio di Propaganda Fide...f.247). ამ ფაქტორმა განსაზღვრა ის, რომ აღმოსავლეთში საქართველოს მისიონი ყველაზე საუკეთესოდ ითვლებოდა *„...მისიონერების თავისუფალი საქმიანობის მიხედვით“* (Archivio di Propaganda Fide...f. 224). ამასთან ერთად კაპუცინი **მამა ბერნარდო მარია ნეაპოლელი** უმთავრესად მიიჩნევდა ქართველი ხალხის მაღალი მენტალობიდან გამომდინარე განწყობას კათოლიკე მამების მიმართ. ის წერს: *„წარმატებებს ყველაზე უფრო ხელს უწყობს, აღმოსავლეთის ყველა ხალხს შორის, ქართველების ცივილიზებული, ყველაზე უფრო განათლებული და ყველაზე უფრო კეთილშობილური ხასიათი, ასევე ყველაზე უფრო გამჭრიახი გონება და ამის ძალით სარწმუნოების ჭეშმარიტების აღქმისადმი ყველაზე უფრო კეთილად განწყობა, როცა მათ არწმუნებ არგუმენტებისა და საღვთო წერილის ავტორიტეტით“* (Archivio di Propaganda Fide...f. 224). ამ ფუნდამენტს ეყრდნობოდა ის თავისუფლება, რაც კათოლიკე მამებს ჰქონდათ საქართველოში, კერძოდ, თბილისში. ამასზე უკეთ მეტყველებს თბილისის კაპუცინთა მისიონის პრეფექტი **ჯულიო და კრემონა,** რომელიც 1691 წლის 28 ნოემბერს წერს: *„თბილისში ჩვენი ბერები დადიან, სადაც უნდათ, ყოველგვარი შიშის გარეშე, ზუსტად ისე, როგორც ამას იტალიაში აკეთებენ... როცა ჩვენი მისიონერი მიდის ქალაქში, არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც მას გზას არ დაუთმობდა“* (Archivio di Propaganda Fide...f. 436). სხვა ამ სახის მასალა ბევრია, თუმცა საილუსტრაციოდ ესეც საკმარისია.

საკმაოდ ცნობილია, რომ მეფე **გიორგი XI-მ** ყველა მანამდე და შემდგომი პერიოდის ქართველ მეფეებს გადააჭარბა კათოლიკე მისიონერებისადმი მფარველობის საქმეში. ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვოდა გიორგი მეფის მამას ვახტანგ V შაჰნავაზს. ამის შესახებ, არ ვეჭვობ, მეფე გიორგი გულწრფელად, შინაგანი განწყობით (ყოველგვარი პოლიტიკისა და დიპლომატიის გარეშე) აუწყებდა რომის პაპს **ინოკენტი XI-ს** (1676-16989) 1687 წელს, რომ **„..დიდი ხნიდან თქვენი სიყვარული ჩვენს გულს ჩანერგილია, ჩვენი კურთხეული მამის დროიდანვე...“** *(მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 267)*. ახალი წყაროების თანახმად, **1677 წლიდან გიორგი მეფის პროლათინური განწყობისა და კათოლიკობისკენ მიდრეკის გვირგვინს წარმოადგენდა მის მიერ 1686 წლის 8 დეკემბერს კათოლიკობაზე გადასვლა** (Archivio di Propaganda Fide...f. 367). ჩვენი ღრმა რწმენით, სწორედ ამ ფაქტორმა განსაზღვრა ის, რომ ზუსტად მეფე გიორგის კათოლიკობაზე გადასვლის 11-12 დღის შემდეგ კათოლიკობაზე მოექცა სამეფო კარის გადამწერი **ესტატე,** ქართველი მღვდელი **აბრაამი,** არქიეპისკოპოსი **ექვთიმე რატიშვილი** და რაც მთავარია მეფის ძმა ლევანი, რომელიც სამეფოს პირველი მოხელე იყო *(მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა...,გვ. 265; Archivio di Propaganda Fide...f. 361)*. ერთი წლის შემდეგ (1687 წლის 25-27 ივლისი) კი კათოლიკობაზე მიდრკნენ გიორგის მეფის ბიძა სპასპეტი (მხედართმთავარი) **თამაზ ყაფლანიშვილი** და მისი ბიძაშვილი დიდი **სულხან-საბა ორბელიანი** (Archivio di Propaganda Fide...f. 392). ამ აღმავალი ხაზის შედეგი იყო ისიც, რომ 1686-87 წლებში პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად გაიგზავნა ორი ქართველი ყმაწვილი (მიხეილი და სოლომონი) *(მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა...,გვ. 268)*. მოვლენების ასეთი განვითარება ბუნებრივად ჩანს მეფე გიორგი XI-ის კათოლიკობაზე გადასვლის შემდეგ. ეს იმდენად დიდი მამოძრავებელი და წამაქეზებელი ძალა გახდა, რომ მამა **ჯუსტინო ლივორნოელმა** ეს ამბავი, ანუ გიორგი მეფის მიერ კათოლიკობის მიღებით გამოჩენილი გამბედაობა, წმინდა გიორგის ქმედებას შეადარა. 1687 წლის 1 ნოემბრით დათარიღებულ რელაციონეში ეს ასე იკითხება: *„...საყვედურს დავიმსახურებდი, თუკი უნუგეშოდ მივატოვებდი ჩვენი ეკლესიის (კათოლიკური ეკლესიის-მ.პ.) ახალ შვილს მეორე გიორგის, საქართველოს მეფეს...“* (Archivio di Propaganda Fide...f. 392).

კასტელი. გორის ციხე

მოხმობილი ფაქტები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ გიორგი XI-ის მეფობის პერიოდში (1677-1688) კათოლიკე მისიონერთა საქმიანობა ქართლის სამეფოში აღმავლობასა და აყვავებას განიცდიდა. ეს, ერთი მხრივ, გულმოდგინე და ღვთისმოსავი კაპუცინი მამების დაუღალავი, კაცთმოყვარული შრომისა და, მეორე მხრივ, კათოლიკობისადმი მიდრეკილი ქართლის მეფის გიორგი XI-ის მხარდაჭერის შედეგი იყო. ასეა თუ ისე, კათოლიკე მისიონერ-მამების გარშემო თავი მოიყარა ქართველ ლათინოფილთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა.

წარმოდგენილი პროცესის გარკვეული დაღმასვლა დაიწყო გიორგი მეფის იმერეთის სამეფოში გადასვლისა და ამის შედეგად ქართლის სამეფოში გამეფებული ანარქიის შემდეგ. საკუთრივ კაპუცინი მამები ოცნებობდნენ იმ დროზე, როცა მეფე ისევ დაიბრუნებდა თავის ტახტს. ამასთან დაკავშირებით კაპუცინთა თბილისის მისიონის პრეფექტი ჯულიო და კრემონა პროპაგანდა ფიდეს ერთ-ერთ კარდინალს 1691 წელს წერდა, რომ ქართლის სამეფოში კათოლიკე ეკლესია დიდებით შეიმოსებოსდა *„... თუკი უფალი გიორგი მეფის იარაღს წარმატებას მოუტანდა...“*. ჯულიოს ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, რადგან ქართლის სამეფოში მის მხარეზე იყო *„...ყველა დიდი მოაზროვნე“* (Archivio di Propaganda Fide...f. 418).

როგორც მოსალოდნელი იყო, გიორგი მეფის არ ყოფნით ისარგებლეს სომეხმა სასულიერო პირებმა და 1683 წლის შემდეგ, კერძოდ, 1690 წელს, ახალი ძალით გააჩაღეს კათოლიკე მისიონერების დევნა *(მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა...,გვ.278-279)*. ზუსტად ამ დროს კათოლიკე მამებს მფარველად მოევლინა ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი. ამ უკანასკნელის თბილისში მოღვაწე კათოლიკე მისიონერ-მამებთან 1690 წლამდე, თუ რა სახის ურთიერთობა არსებობდა უცნობია. იმის გათვალისწინებით, რომ 1690 წლის 1 იანვრით დათარიღებულ ვრცელ წერილში თბილისის მისიონის პრეფექტი ჯულიო და კრემონა რომს აუწყებდა ბარძიმის მიერ კათოლიკობის მიღების, მისი ძალმოსილებისა და კათოლიკე მამებისადმი გამოხატული სიყვარულის შესახებ (Archivio di Propaganda Fide...f. 403-404), უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბარძიმი გიორგი მეფის გარშემო მყოფ პროლათინთა დასის წევრია. ასე თუ ისე, ბარძიმი, ვითარცა ქართლის სამეფოს მსაჯულთუხუცესი (მდივანბეგი), რომელიც მეფის შემდეგ სამეფოში „... პირველი პირია“ (Archivio di Propaganda Fide...f. 403), 1690 წლიდან ენერგიულად შეუდგა რომის პაპთან კავშირის დამყარებას. აი, როგორ განვითარდა მოვლენები:

ყოველივეს ამოსავალი ის ფაქტია, რომ ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი კათოლიკობაზე მოექცა. როდის მოხდა ეს? წყაროების (რელაციონების) ქრონოლოგია გვთავაზობს, რომ ამას ადგილი ჰქონდა 1689 წლის მიწურულს. 1690 წლის 1 იანვრის რელაციონეში ჯულიო და კრემონა პროპაგანდის ერთ-ერთ კარდინალს წერდა: *„მისმა უწმინდესმა მამობამ უნდა იცოდეს, რომ ახლანდელი ქვეშევრდომი, სახელად ბარძიმი, რომელიც ახლახან გადავიყვანე რომის წმინდა ეკლესიის წიაღში, არის საქართველოს ყველაზე ძლევამოსილი და დიდად პატივცემული მთავარი ერთი ვრცელი სამთავროსი, რომელიც სავსეა მეომარი ხალხით“* (Archivio di

გაგრძელება მე-9 გვ. ▶

გურამ ოდიშარია

ზღვის სურნელი

ჯემალი ორმოცდახუთი წლის კაცია, გულრიფშელი, ზღვისპირასოფლელი.

გამომგონებელია, პროფესორი. მეგობრებისა და ქეიფის მოყვარულს ჯემალზე ვერ ვიტყვი, მთელი თავისი დღე და მოსწრება მხოლოდ წიგნებს ჩაჰკირკიტებდაო. ისე, ჯერ კიდევ სოხუმიდან მახსოვს მის მიერ გამოგონილი თხილის სარჩევი მანქანა, კიდევ, თუ არ ვცდები, ტუნგოს ზეთის გამოსახდელი აპარატი, აგრეთვე – წყლის ტუმბო... და კიდევ – მისი კარგი თამადობაც.

რაც უღელტეხილით ომს თავი გამოაღწია, სულ რაღაც უწრიალებდა სულს, გამუდმებით გრძნობდა, რომ რაღაც ძალიან აკლდა, ოღონდ რა, ეს ვერა და ვერ გაეგო, ვერაფრით აეხსნა. რა თქმა უნდა, ნათელი იყო, რომ დევნილია, რომ უკვე, ფაქტობრივად, არც ჭერი და არც მშობლიური სასაფლაო გააჩნია, მაგრამ ის „რაღაც“ სულ სხვა იყო, მისთვის ჯერ ამოუცნობი...

უთქვამთ, ჯანსაღი აზრი ხანდახან ცხოვრებაში ცუდი თანამგზავრიაო, და იქნება თავისი წესითა და რიგით მოაზროვნე მეცნიერს ამიტომაც ვერ გაერკვია, კიდევ რის გამო უმძიმდებოდა ხოლმე ასე გული, რა აკლდა ასე ძალიან. მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს, მაინც მიაკვლია იმ „რაღაცას“ და... ზღვა გამოიგონა! რაც ასე ძლიერ უშუშხავდა სულს, სწორედ ის გამოიგონა: აფთიაქში იყიდა ევკალიპტის ფოთლების რამდენიმე კოლოფი, მოიმარაგა, ზღვის მარილი, იოდი...

ერთხელ, როდესაც ნათესავს შეკედლებული, ბინაში მარტო დარჩა, წყლის გამაცხელებელი ჩართო, აბაზანა თბილი წყლით გაავსო, შემდეგ ელექტროღუმელზე ვედროთი წყალი აადუღა და წყალში უხვად ჩაყარა დილაადრიან ეზოში მალულად მოკრეფილი კაკლის ფოთლები, ასევე ზღვის მარილი, ევკალიპტის ფოთლები და იოდიც ჩაასხა...

ორიოდე წუთში სამზარეულოში იმძლავრა იოდის სუნმა, ჯემალმა ვედრო აბაზანაში ჩაცალა, ტანზე ნაჩქარევად გაიხადა და კაკლის ფოთლებმოტივტივე წყალში ჩაწვა.

მთელი ბინა გაიჟღინთა იოდის, ევკალიპტის, მარილის სურნელით ანუ ზღვის სურნელით.

იწვა და ნებივრობდა, დიდხანს იყო ასე. ხარბად სუნთქავდა ზღვის სურნელით გაჯერებულ ჰაერს. დარწმუნებული ვარ, ფეხისგულებით ზღვის ქვიშიანი ფსკერის სილბილესაც გრძნობდა.

ამას რომ მიყვებოდა, ჯემალს უცნაური ათინათები დასციმციმებდა სახეზე, თითქოს აგვისტოს შუქმოსილ ზღვაში, ტალღებზე არეკლილი, ახლადმობრდღვიალებული მზე ეთამაშებოდაო. თანაც პატარა, აცეტებული ბიჭივით აღელვებული მიყვებოდა პროფესორი:

– შენ კარგად გამიგებ... იცი, როგორი კაიფი იყო, როგორი კაიფი, როგორი კაიფი...

მეტრო „ნაძალადევი“

მირიანი მეტრო „ნაძალადევში“ ჩამოდის, ესკალატორისკენ მიემართება. ესკალატორის კიბეზე ორ მძიმე ჩანთას დებს და სახეშეჭმუხნილი წელში იმართება. ბოლო დროს წელის ტკივილი შემოეჩვია, მითუმეტეს, მაშინ ახსენებს თავს საწუხარი, როცა ტვირთს ეჭიდება. არადა, დღეს მაღაზიაში ფქვილი და ლობიო დაურიგეს, ასე ვთქვათ, ჰუმანიტარული დახმარება გაუწიეს. სულზე ორი კილო ლობიო გასცეს, პურის ფქვილი კი – სამი. ოჯახში ოთხნი არიან. ასე რომ, კარგად დატვირთეს.

წელში სწორდება თუ არა, ვიღაცის მზერას გრძნობს. მის გვერდით, კიბის საფეხურზე, ორმოცდათხუთმეტი წლის მაღალი, დიდთვალება, გაღიმებული ქალი დგას.

– გამარჯობა, ბატონო მირიან, რამდენი ხანია, თვალი არ მომიკრავს თქვენთვის, – ეუბნება ქალი.

– ქალბატონო ნინო?.. – ძლივს წარმოთქვამს შეცბუნებული მირიანი და მასაც შუქი უდგება თვალებში.

დაახლოებით ორმოციოდე წლის წინათ გაიცნო ნინო, მაშინ, როდესაც სოხუმის პედაგოგიურის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო. ნინო სკოლაში სწავლობდა. მირიანიც სწორედ იმ სკოლაში გადიოდა პრაქტიკას. ორიოდე გაკვეთილი ნინოს კლასშიც ჩაატარა. მაშინვე თვალში მოუვიდა ლამაზი, ქერათმიანი გოგონა. პრაქტიკანტ ვაჟებზე შეყვარებული უფროსკლასელი მეტიჩარა გოგონებისაგან განსხვავებით, ნინოს სულ სხვა, სათუთი გრძნობით შეუყვარდა მირიანი.

მირიანსაც უყვარდა გოგონა, მაგრამ მათი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ერთხელაც არ შეხვედრიან ერთმანეთს. ღმერთმა უწყის, რა იყო ამის მიზეზი. უცნაური სიყვარული ეწვია ორთავეს. როდესაც ქალაქში ერთმანეთს მოჰკრავდნენ თვალს, სახე უნათდებოდათ.

შემდეგ მირიანმა ცოლი მოიყვანა, ნინომაც თავისი ბუდე გაიჩინა. გადიოდა დრო. ისინი, დროგამოშვებით, საერთო ნაცნობების შემწეობით, გებულობდნენ ხოლმე ერთმანეთის ამბავს.

და აი, ახლა, ომის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ, დიდი, ძალიან დიდი ხნის უნახავი კაცი და ქალი ხვდება ერთმანეთს თბილისში, „ნაძალადევის“ მეტროში, ესკალატორზე.

ჭრიალებს ესკალატორი, მაღლა მიიწევს. ისინი ერთ საფეხურზე დგანან, ერთმანეთთან ახლოს, ძალიან ახლოს, ახლოს, როგორც არასდროს. თვალებში ჩასცქერიან და ერთიმეორეს ეკითხებიან: ცოცხლები ხართ, ყველანი გადაურჩით ომს? როგორ ხართ? სასტუმროში ცხოვრობთ თუ ნათესავთან? ან – ნაქირავებში? შვილები როგორ არიან, შვილიშვილები?.. მირიანი ცდილობს ყინჩად დაიჭიროს თავი, თითქოს არც სამოცი წლისაა, არც წელი სტკივა...

აი, მთავრდება აღმასვლა, რიგრიგობით იკეცება ესკალატორის საფეხურები, სწორდება კიბე. წამიც და, მარმარილოთი მოპირკეთებულ იატაკზე გადადგამენ ფეხს. მირიანს

უცებ თავისი ჩანთები ახსენდება, მაგრამ გვიანაა - ესკალატორის კბილანები ზვიგენის კბილებივით ჩაფრენია პურის პოლიეთილენის ტომრებისაგან შეკერილ ჩანთებს და ღრღნის.

მირიანი იხრება, ექაჩება ჩანთებს, ამაოდ ირჯება. ერთ-ერთი ჩანთა იხევა, იპნევა ფქვილი, წკაპუნით ცვივა ლობიოს მარცვლები. მირიანს უკნიდან ვიღაც ეჯახება, მირიანი ეცემა, ცალ მუხლზე იჩოქებს. შემდეგ კიდევ ვიღაც ვარდება ძირს, შემდეგ კიდევ ვიღაც... ყოველივე ეს წამებში ხდება, ესკალატორთან ადამიანების ზედახორაა.

აჩერებენ ესკალატორს.

– ბატონო მირიან! ბატონო მირიან!... – ისმის ზედახორას განრიდებული ქალის შეშფოთებული ხმა.

– ეს არაფერი, ეს არაფერი, არ მიაქციოთ ყურადღება, არ მიაქციოთ ყურადღება... – იმეორებს ფქვილში ამოგანგლული მირიანი და ფეხზე დგება.

– რატომ დააწყვეთ ჩანთები კიბეზე, ეს ხომ აკრძალულია! – უყვირის მირიანს მეტროს მუშაკი.

ბუზღუნებენ მგზავრები. ვიღაც იგინება.

– არ მიაქციოთ ყურადღება, არ მიაქციოთ ყურადღება... – კვლავ იმეორებს მირიანი, შარვალს იფერთხავს, რის ვაი-ვაგლახით ათავისუფლებს ესკალატორის კბილანებში გახირულ ჩანთებს და გასასვლელისაკენ მიდის. გახვრეტილი ჩანთიდან ფქვილი იყრება და თეთრ ხაზად ეფინება იატაკს.

გვერდით ქალი მოსდევს.

– მე პარკები მაქვს, ბატონო მირიან, – ეუბნება ქალი.

ისინი ჩერდებიან. პარკებში ყრიან ლობიოს, ფქვილს.

– მაპატიეთ, მაპატიეთ, გმადლობთ, – ამბობს სახეალეწილი მირიანი, – დიდი მადლობა...

იგი მზერას არიდებს, სასწრაფოდ ემშვიდობება ქალს და ხელმარცხნივ მიდის, ჩაწკაპული ჯიხურების გასწვრივ, ოფლი ხვითქად ჩამოსდის. მიდის მხრებჩამოყრილი, იერით უკვე სამოცდაათი წლის კაცს დამსგავსებული, მიდის მძიმე, არეული ნაბიჯებით, გეგონება, საცაა წაიქცევაო. მიდის და თან მიჰყვება ულამაზესი სოხუმელი ქალის სველი მზერა.

უცნობი ქალი

ამ რამდენიმე თვის წინათ, მეგობართან ვრეკავდი. ის-ის იყო ორიოდე ციფრი ავკრიფე, რომ ყურმილში ქალის ხმა გაისმა:

– გისმენთ.

– ეს მე გისმენთ, – შევეცადე გავხუმრებოდი უცნობს, – თქვენ ხომ ჩემთან რეკავთ... ჰოდა, გისმენთ.

– არა, ბატონო, თქვენ დარეკეთ ჩემთან, – გამომეპასუხა ქალის მშვიდი ხმა.

– ვხუმრობ, ქალბატონო... ჩვენი ტელეფონების ამბავი ხომ მოგეხსენებათ, ვის არ დაალაპარაკებს ერთმანეთთან...

ქალმა გაიცინა.

უცებ მისი სიცილი ვიცანი, მისი ხმაც გამახსენდა: ერთხელ, ასე, ოციოდე წლის წინათ, ჩემს ახალგაზრდობაში, სახლში ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ავიღე. ყმაწვილ ქალს არასწორად აეკრიფა ნომერი. მაგონდება, მაშინაც გავეხუმრე უცნობს, დაახლოებით ათი წუთი ვისაუბრეთ და ისე გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს, რომ, რატომღაც, არც მე დავინტერესებულვარ მისი ვინაობით და არც ის – ჩემით.

ხმა კი მახსოვრობაში ჩამრჩა. საერთოდ, ზოგი რამ კი მავიწყდება, მაგრამ ხმებს, ძალაუნებურად, ვიმახსოვრებ. ეს ჩვენ, ადამიანები ვიცვლებით, თორემ ჩვენი ხმები – არასოდეს.

და აი, ამდენი წლის შემდეგ, ყურმილში ერთ დროს გაგონილი ხმა კვლავ გაისმა. არა, ასეთი რამ ცხოვრებაში არ ხდება, და თუ ხდება, ალბათ, მილიონში ერთხელ.

ავღელდი.

– ქალბატონო... ქალბატონო... თქვენ სოხუმელი ხომ არ ხართ?

– სოხუმელი ვარ, – მცირეოდენი პაუზის შემდეგ გაისმა შეცბუნებული ხმა.

– ქალბატონო... ერთ დროს, ოდესღაც, ჩვენ ტელეფონით ვისაუბრეთ, სრულიად შემთხვევით... სოხუმში.

ყურმილი დადუმდა.

– ნუთუ... – გაისმა ცოტა ხნის შემდეგ.

– დიახ, დიახ ეს მე...

ამის თქმა და გაითიშა ტელეფონი. რა არ ვიღონე, ხან კვლავ იმ ჩემი მეგობრის ტელეფონის პირველ ციფრებს ვკრეფდი და მოშინინე ყურმილს დიდხანს ვაყურადებდი, ხანაც სულ სხვაგან ვრეკავდი, მაგრამ ამაოდ, დამეკარგა იდუმალი ხმა.

იმ ღამეს დიდხანს არ დამეძინა, ვბორგავდი.

დღესაც რაღაცნაირი, უცხო ტკივილით ვიგონებ ამ მეტად უცნაურ ამბავს: ვინ არის ის ქალი? რას მეტყოდა, ნეტავ ტელეფონი რომ არ გათიშულიყო? ან რას ვეტყოდი მე?..

მზერა

თბილისში, რუსთაველის გამაზირზე ნაცნობი მზერა შემომეფეთა – ასე, ოცდათხუთმეტი წლის ჩია კაცის საწყალი მზერა. შემომხედა და უმალ თვალი ამარიდა.m

ომამდე ვიცნობდი, შორიდან სადღაც, ჩემი სახლის სიახლოვეს ცხოვრობდა; თუმცა, მისი არც სახელი ვიცი, არც გვარი.

ომის დროს კი წვერმოშვებული, სამხედრო ფორმაში გამოწკეპილი დადიოდა ქალაქში, ავტომატსა და ყუმბარებს არ იშორებდა. სულ სხვა კაცად გარდაიქმნა მაშინ, მზერაც სხვანაირი გაუხდა – ამაყი, თავმომწონე, გადიდგულებული... ომის დროს ქუჩაში ვხედავდი ხანდახან, უფრო ხშირად კი მანქანით დაჰქროდა, ხან – „ნივით“,, ხანაც – „ვოლგით“.

მეომარმა ბიჭებმა მითხრეს, ბრძოლაში ერთხელაც არ გვინახავს, ეგ მხოლოდ ქალაქში დაძრწის, მაროდიორობსო.

არადა, მართლაც, როგორ აკვესებდა მაშინ, თითქოს ბერლინი აეღოსო. ისე დადიოდა, თითქოს მის წინაში ყველანი დამნაშავეები ვიყავით. მისი მზერა ამბობდა, ხომ დადგა ჩემი დროო. ხანდახან, გვარიანად შეზარხოშებული, ავტომატს აკაკანებდა შუა ქალაქში.

და აი, სამი წლის შემდეგ, ისევ შევხვდი მას: მიდის წვერგაპარსული, სულ სხვა კაცია ავტომატის გარეშე, მზერა ომამდელზე ბევრად საწყალი აქვს, შიშნეული, თვალებს უცნაურად აცეცებს, ნაცნობებს არიდებს; კი არ მიდის, მიიძურწება, მიიპარება სადღაც, მეტად დაჩიავებული, უბადრუკი.

დარი - დური

სადგურის მოედანი. მეტრო. მიწისქვეშა გადასასვლელი.

კედელთან პატარა, სახეზე ნაღველდაფენილი ბიჭი მიმდგარა და მღერის. ბიჭის ფეხებთან შოკოლადის ცარიელი კოლოფი დევს. კოლოფში ხურდა ბრწყინავს, მათხოვარია ბიჭი.

მისი სიმღერა ვერცხლის ზარივით წკრიალებს.

– დარი-დური, დარი-დური, დარი დარალეე...

გვირაბი აძლიერებს ბიჭის ხმას.

მგზავრების ერთი ნაკადი სადგურის პირველი მოედნისაკენ მიიჩქარის, სხვა ნაკადი კი – მეორისაკენ.

ადამიანებს ელექტროგანათების ბლანტი, უსიცოცხლო ფერი დასდებიათ.

მათი სახეებიც უსიცოცხლოა. ჩქარობენ ისინი, სულ სხვანაირები არიან აქ, გვირაბში, ამოუხსნელია მათი გამომეტყველება.

ხანდახან შოკოლადის კოლოფში ხურდა გაიწკრიალებს.

მიწისქვეშა გადასასვლელში მძიმე ჰაერია.

ბიჭი მღერის.

ომის შემდეგ ვფიქრობდი ხოლმე, იქნებ გავემგზავრო სადმე, გადავიხვეწო-მეთქი. მაგრამ სად? სად გაექცევი ამ ყოველივეს? ამ სიმღერას როგორ დატოვებ? იგი ხომ შენი ტკივილის ნაწილია, ქვეყნის ტრაგიკული საგალობელია, მიწისქვეშა გადასასვლელების სიმფონიაა, ეულ სულთა ჰიმნი, უსიხარულო დღეების ჰეროიკული მელოდიაა... შენგან რომ სულის სითბოს, სიყვარულს ითხოვს საყოველთაო გულგრილობის ნაცვლად. თითოეული ჩვენთაგანისაგან ითხოვს ამას, რამეთუ თითოეული ჩვენთაგანი დამნაშავეა ამ სიმღერის წინაშე. და როგორ გინდა, უღალატო მას, გაექცე? ეს ხომ ავადმყოფი შვილის დატოვებას უდრის?

დარი-დური ის სიმღერაა, რომელშიც მომღერლის ხმასთან ერთად გარდაცვლილთა ხმებიც ისმის.

თუმცა ზოგჯერ, რატომღაც, მხიარული გვგონია იგი.

ახმეტელის თეატრთან

ომი ახალი დამთავრებულია.

ზამთარია. ყინავს.

ღამის თორმეტის ნახევარია. ქუჩაში მხოლოდ აქა-იქ ბჟუტავს ნათურები.

სტუმრად ყოფნა გაუხანგრძლივდა, სწრაფად მოაბიჯებს მერაბი, ჩქარობს, მეტროს უნდა მიუსწროს. აი, საცაა გადაჭრის მოედანს, გზას შეამოკლებს და ახმეტელის თეატრთან აღმოჩნდება. მერე კი მეტრომდე რაღა დარჩა, ხუთიოდე წუთში იქ იქნება.

უცებ მხარზე ვიღაცის ხელი ეხება.

– უკან არ მოიხედო, თორემ, დაგბრიდავ!

და ყელზე დანის პირის სიცივეს გრძნობს.

– კურტკა გაიხადე! – ბრძანებს ახლა სხვა ხმა, ბოხი.

რა ქნას? ორნი არიან, იქნებ, სამნიც. ვერ მოერევა. თანაც დანამაც ღამის კანი გაუჭრას, ისე დაუნდობლად მიაბჯინეს.

ვიღაცის ხელი ტყავის ქურთუკის გახდაში „ეხმარება“.

– არ მოიხედო! – ისევ აფრთხილებენ.

ქურთუკის ჯიბეებს ჩხრეკენ, ამოაქვთ ფული, ქაღალდები. ანთებენ ასანთს.

– ვა�ა, ლტოლვილი ყოფილა, – ეუბნება ერთი მეორეს, გაგრელი... წაიკითხე.

შემდეგ, სულ რამდენიმე წამით სიჩუმე ისადგურებს.

ლტოლვილის საბუთი იპოვეს, ფიქრობს მერაბი.

– შენ რა, ლტოლვილი ხარ? – ეკითხება ბოხი ხმა მერაბს, – ეს ქსივი ნაღდია?

მერაბი დუმს.

– შენ რა, ენა გადაყლაპე? ლტოლვილი ხარ, არა?

მერაბი თანხმობის ნიშნად თავს უქნევს.

შემდეგ ისევ სიჩუმე ისადგურებს.

– კარგი, შემოტრიალდი, – კვლავ ისმის ბოხი ხმა.

იმავე წუთს დანასაც აშორებენ.

მერაბი ნელ-ნელა შებრუნდება.

მის წინ მისივე ტოლი ორი ბიჭი დგას. ერთ-ერთს მისი ქურთუკი უჭირავს, მეორეს – ფული და საბუთები.

– ჩაიცვი! – აწვდიან მერაბს ქურთუკს, შემდეგ კუპონებსაც უბრუნებენ, საბუთებსაც.

დგანან და ერთმანეთს ათვალიერებენ.

– ასე გვიან ნუ დადიხარ, რა იცი, ვის გადაეყრები, – გამომშვიდობებისას ხმადაბლა ეუბნება ბოხხმიანი. მას ახლა სულ სხვა ხმა აქვს, ლმობიერი.

– კარგად იყავით!

– კარგად!

მერაბი გზა განაგრძობს. რამდენიმე წუთში მეტროსთან ჩნდება. მეტრო ჯერ კიდევ მუშაობს.

„ღრმაღელეში“ ჩამოდის. იქ ოჯახით თბილისელი ნათესავის სახლსაა შეხიზნული.

შინ შესული მერაბი ხმას არავის სცემს, თავის ოთახში შედის, ლოგინზე პირქვე ემხობა, თავზე ბალიშს იფარებს და მოგუდული ხმით ტირის.



მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთ გამორჩეულ სასულიერო პირს, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა დედაეკლესიის წიაღში, აწ განსვენებულ მარგველ მიტროპოლიტს, კონსტანტინე მელიქიძეს, ახლახან 100 წელი შეუსრულდებოდა.

ერისკაცობაში ДИМИТРИ СИМОНის ძე მელიქიძე დაიბადა ბორჯომის რაიონის სოფელ ბალანთაში. მან ცხოვრების დიდი გზა განვლო. 1972 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, დავით V-ის (დევდარიანის) ლოცვა-კურთხევით იგი აკურთხეს სიონის საპატრიარქო ტაძრის დიაკვნად. სხვადასხვა წლებში იყო რუის-ურბნისის ეპარქიის სოფელ ატოცის წმ. გიორგისა და ხაშურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიების წინამძღვარი, 1978 წელს აყვანილი იქნა არქიმანდრიტის, ხოლო 1980 წელს – მთვარეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად, ხოლო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის, 1984 წელს ებოძა მიტროპოლიტობა.

ნიშანდობლივია, რომ იგი ქართული ეროვნული პოეზიის დიდი მოტრფიალეც იყო და მოცალეობის ჟამს თავადაც წერდა ლექსებს.

აქვე გთავაზობთ მის რამდენიმე პოეტურ ნიმუშს:

კონსტანტინე მელიქიძე

სასწაულია

რანი ვართ ჩვენ და
რაა ქვეყანა?
რაა წყალი და რაა ხმელეთი?
რაა სულდგმულის
ელეთ-მელეთი,
ცალკე სინათლე, ცალკე
ბნელეთი?

რაა სისხლ-ხორცი და რაა სული,
რაა სიცოცხლე ან აღსასრული?
რაა გაჩენა ან დასაბამი,
სულ უბრალო რამ თუ
სასწაული?

მაგრამ რაც სუფევს ჩვენს
გარეშემო,
ის ხომ ნამდვილი სასწაულია?
სასწაულია თვით შემოქმედი,
სიცოცხლე ჩვენი სასწაულია!

ანდრია პირველწოდებულისადმი

პირველი სიტყვა, როგორც
ცის გახსნა,
როგორც ქუხილი მთით მთას
შეხლილი,
მაშინ გაისმა როცა აისმა
მეწამულ ფერით შემუსრა ბნელი.

მაცხოვრის სიტყვის პირველ
მსმენელო,
პეტრეს რომ უთხარ – „ვპოვეთ
მესია!“
გაუტეხელო ქადაგო, წრფელო,
ღვთის სიტყვა ბევრი
დაგითესია.

დაგითესია ქართველთა
გულშიც,
დაგითესია მთად და ბარადა,
მის ჯვარს ზიდავდი სოფელ
და სოფელ,
ვინც შენი სული გაამარადა!

რამდენი მხარე შემოიარე,
ჰგავდა კოლხეთი ღვთიურ
სავანეს,
როგორ გიყვარდა ქართული
მიწა,
(სული ძლიერი დამწვარი
ლოცვით)
დღესაც გვამაღლებს,
დღესაც გვწამს ფიცად!

მოხედენ!

დგანან ტაძრები და ცის
სივრცეს აპობენ,
ჩიტები გალობენ, ჩიტები
მრავლობენ,
აქ არვინ ლოცულობს კაცთაგან
ესოდენ,
მოხედენ უფალო,
მოხედენ, მოხედენ!

დაღლილან ტაძრები, დაშლილა
ქვა-კირი,
ზედ დასდით დელგმა და
უტირით თავ-პირი...
და ისმის... და ისმის:
„შეგცოდეს, შეგცოდეს“...
მოხედენ უფალო,
მოხედენ,
მოხედენ!

შიშველი გუმბათი
ჯვარ-მომტვრეულია,
რომ ჰკითხო – „ძეგლია,
იცავენ, იცავენ!“
ღვთის სახლი წვიმას და ქარს
მიაქვს,
გოდებით,
მოხედენ უფალო!
მოხედენ,
მოხედენ!

***

ზეცას შევხარი, ამ საოცრებას,
და ჩემი აზრი მასში რგულია,
რაც შექმნილია სასწაულისგან,
ეს ყველაფერი სასწაულია...

მოვედინ სუფევა

გადიდებ შენ, ცაო, წმინდა ხარ,
წმინდა ხარ,
სავანევ წმინდათა, სავანევ
მაღალთა,
მაქციე შენს მონად, მაქციე
მწირადა,
და ჩემი არსება ლოცვებით
განახლდა.

გადიდებ შენ, ცაო, მეუფევ
ზეცათა,
მთავარი ლოცვა და მარხვაა
ყოველი,
მარხულობს გული და სულს ასე
ეწადა,
დიდსა და საკვირველს მე ამით
მოველი...

მოვედინ შენს მიერ,
სუფევად მოვედინ!

კაცის სიცოცხლე

კაცის სიცოცხლე ვამგვანე
თოვლზე დაწერილ ასოსა,
დაღამებამდე ჩადნება,
ბინდი წარუკვეთს სასოსა.
წავა, გაქრება ყოველი,
ვეღარ ვიპოვით ნაბოძსა,
თუ კეთილ რასმე
დაგვითესს,
ვიმკით, ვადიდებთ
ნაყოფსა.

ობოლი ბატკანი

მზის სიცხეში უწყლო, ქორფა,
ველზე ეგდო ბატკანი,
ძლივს ძლივობით ფეხზე
დადგა,
ვერსად ნახა საფარი.

დედა არ ჰყავს, გადეფაროს,
რომ არ სცემდეს პირ-ქარი,
მას ვინ ჩივის, ცხვრის მაგივრად
თხა ჰყავს დედინაცვალი...

აი ბედი, ობოლ ბატკნის,
ობოლ ქვეყნის სადარი!..

შიო მღვიმელი

ცა მტრედისფერი ლოცვის
მადლსა სვამს,
შიო მღვიმელი დამდგარა
ლოცვად,
ვიდოდენ დღენი, ანგელოზ
კაცსა
შიმშილისათვის არ ჰქონდა
მოცლა.

და არც წყურვილი უგრძვნია
მწველი,
სვამდა „ზეცის წყალს“, ვიდრე
ბნელოდა,
მაგრამ ძე იყო, ძე ხორციელი,
და ხორცის საზრდელს მაინც
ელოდა.

ელოდა საზრდელს არა
კაცთაგან,
მისგან, ვინც იცის, როგორ
დაარჩენს,
დიდი ხანია ბრძენმა ქადაგმა,
სულიც და ხორციც მიანდო
გამჩენს.

და... არიალდა სხივებში
მტრედი, –
(წითელ ფეხებში პურის
ნაჭერი),
სახლი თუ არ მაქვს, ცა არის
ჭერი,
ღმერთს მოუცია ჩემთვის ეს
მტრედი“...

თეთრ მტრედს მოჰქონდა
საზრდელი მცირე,
და აღმოხეთქა წყარომამაც
იქვე,
სული მლოცველი იყოს თუ არა, –
ლოცვა თვით მთასაც
დასცემსო პირქვე.

ცეცხლად ღვიოდა მღვიმეში
ლოცვა,
არ მოჰკლებია ღვთისგან იმედი,
და დიდხანს, რადგან არ ჰქონდა
მოცლა,
მტრედმა აცხოვრა შიო მღვიმელი!..

ზედაზენი

მცხეთას არაგვი და მტკვარი
ერთ საბუდარში ერთდება,
სოფელს აღვიძებს ქართლისას
ზედაზენს ბერის ვედრება.

ისე წილკნელი

იყო სულიერ სიმტკიცით სავსე,
სინათლის ფეთქვით და
მღელვარებით,
და ცრემლთა დენას ჭარმაგ
სახეზე
ზედ დაეჩნია წმინდა ღარები.

ცრემლია მოთქმა ძლიერი ნების,
ცრემლია მსხვერპლი წინაშე
ღვთისა,
ცრემლი და თრგუნვა ბოროტი
ვნების,
დამდნარი ცოდვა, იმედი ხსნისა.

და ხშირად ჰქონდა გოდება ხმაში,
გვალვა აღრჩობდა გლეხსა
და ყანას,
და დედა-მტკვრიდან ხრიოკ
წილკანში
ყავარჯნის თრევით რუ მიიყვანა...

მისდევდა წყალი, ვით სულიერი,
გზად მოდიოდა თუ ეკალ-ბარდში, –
ეს სასწაული შიო მღვიმელმა
და ზედაზნელმაც იხილეს მაშინ.

სახარება

ქრისტეს ძალის და დიდების
სახარებაა მთხრობელი,
ის არცა სევდის წიგნია
და არცა გასართობელი.

იგია სულის აღმზრდელი
და სულში მადლის მშობელი,
ყველას გქონოდეთ ამ წიგნის
წყურვილი გაუქრობელი!

გია ტულუში

ღმერთის ღაწვები

ღმერთის ღაწვებზე შენ ნაკვთები ხარ დაღალული,
ღმერთის მტერმრუდეს, ჩამოგემდუღრე
თეთრ ღაწვებზე, როგორც მირონი,
არც სახლი მაქვს და არც მალული საბუდებელი,
მქვია სამყარო, უსაზღვრობა, ქორონიკონი.
ყველაზე მეტად რომ მიყვარდი, მაშინ მემრუდე,
იწერებოდა მაშინ ყოფნის მწარე სტრიქონი,
ეს იყო ღელვა, ალექსება საულმეფური,
პოეტიკურად გადაგღარე – მზის სტიქიონი.
მერე დავეცი ცივ მიწაზე და დავიღვარე,
თვალთეთრ ფანტელებს აქეზებდა ნამქრისფრად ზეცა,
სანამ და-ძმანი ღმერთის ნაჭდობს გადმოსერავდნენ,
დაისმა ჩემი ბოლო მუზა გაიყირმიზა.
რიონმა კლდეზე ჩხრიალ-ჩხრიალ გადიკისკისა,
შემეცრემლაო ყოვლისშემძლის მხურვალე ლოცვა,
მე კი, უფალო, მინდა გკადრო სიტყვად ამისა,
მწადს შენს მტარვალებს შენდობისთვის შევევმუცალო.
პოეზიითვე ვასულდგმულე ფუჭი წრე-ბრუნვა,
ღმერთი, ღმრთის მწველი და ცრემლებად ჩაგუბული მე,
უზენაესი უტიფრობით ყველგან ქებულმა,
განდეგილივით გაქცეულმა ნავუდუმილე.
მისნურ სიზმარში რომ გიხილე თავსაბურველით,
ჰქროდი ქარლურჯი შებინდების პირველ ხმაურში,
ხმაურში ჩუმში გიმღეროდა ქერუბიმეთი,
დალანდლანდობდი სიყვარულში ივერიულში.
ფერფლიანუმი გამოჩარხავს ახალ სამყაროს,
მე კვლავაც დავალ შემოქმედის თხელ-თხელ ღაწვებზე,
როდემდე უნდა მზისმიერად მასაჰარაო,
როდემდე უნდა მაწერინო თებერვალებზე.
თებერვალთბრუნვა მეორდება ციფერბლატებზე,
წვიმაში ქრები წვიმისმიერი აბლაბუდებით,
შხამს აღარ ვანთხევ პოეზიის ვეტერანებზე,
მხოლოდ ზეარსთან ვიპაექრებ გადაქუხებით.
ჩემი ხელები მიღმიერში დაამარწუხეს,
ცეცხლის ჭანგებით დამიშანთეს მთელი სხეული,
უცხო მგოსანი შემართებით ასათაურებს
ჩემზე პოემას – სათაურით მერმისეულით.
უტყვთა სულნარი სამუდამოდ გაადევრიშეს,
უფლის ღაწვებზე მოვჩანჩქერობ, ჩამოვმზისსხივდი,
ლანდთა ლანდებმა მარატივით დამავერდიქტეს,
ამ შეცოდებას ვერასოდეს გამოვისყიდი.

ფახრ-ად-დინ გორგანი

ვისრამიანი

რამინისაგან ვისის მოყვანა მარავს და მოაბადისგან გამხიარულება და მეჯლიში

(გაგრძ. დასაწყ. წინა ნომერში)

ძიძამ მოუთხრო ყოველი რამინის შენათვალები,
უიმედობით ტირილი, მის ყოფნა განაწვალები,
ვისის უკვამლოდ მოედვა უჩინო ცეცხლის ალები,
და ეგრე უთხრა ძიძისა, მიაპყრო ცრემლის თვალები:

“ – ვითა დავეხსნა მოაბადს, მითხარ, რა ღონეს ამიგებ?
ნეტარძი რასაც აწ გეტყვი თუ მოისმენ და გამიგებ,
რამინთან წასასვლელადა ფეხთა თუ რამეს დამიგებ,
მაშ, დამეხმარე იმითა, რითაც საქმეს არ წამიგებ.

აწ სძინავს მოაბადსა და ვინძლო მალ დათმოს ძილია,
აქ თუ ვერ მნახა, ავს მიზამს, მომკლავს, სული კი ტკბილია,
სჯობს რომ შენ გვერდით დაუწვე, იფიქრებს: ჩემი ხილია,
ჩვენ ტანი ერთურთს მიგვიგავს, არ დიდი, არ მორჩილია.

შენცა ჩემსავით რბილი გაქვს ჰარირისებრი ტანია,
ჩემდა სამსხვერპლოდ შენ თავი ხომ ადრეც მიგიტანია,
ხელს მოგყობს – ვერას შეიტყობს, მთრვალია ეგ სატანია,
მე წავალ, ურამინობა რა ვქნა ვერ ამიტანია“.

ესა თქვა, მყისვე დაავსო სანთელი, გაქრა შუქია,
ძიძა ახლოსა მიიხმო, წელწვრილი, ვით პატრუქია,
გვერდთ დაუწვინა მოაბადს, ფიქრობს: „– დე, ღმერთსაც უქია,
ამას არ გაეღვიძება, დაიწყოს თუნდ ქარბუქია“.

თვით მიაშურა რამინსა, მხიარული და მცინარე,
მივიდა, ერთი აკოცა, უთხრა: „ხომ არ ხარ მძინარე,
იცოდი მოგივიდოდი, რაზედა მოიწყინარე,
აწი ჩემითა იხარე, გეყო, რაც მოითმინარე“.

რამინის წყლულსა მალამოდ დასდვა მან ცხელამბორია,
ქვეშე დაიგეს ორივემ ტყავები, ჰქონდათ გორია,
ზედაც ტყავები იბურეს, არა ერთი და ორია,
მათის კოცნისა სიმძიმეს ასწონის რა სასწორია.

ვისმა მოიძრო პერანგი, რომ ჰქონდა მას ლამიანი,
შეჭირვებანი გულისგან განაგდო მან ჯავრიანი,
ნარგისი ვარდს ჩაეკონა, ამარტა იანვრიანი,
ვითა მთვარე და მუშთარი – შვენოდნენ სახემზიანი.

ვით თავმდაბლობა ეხამის სიმაღლეს, გვარიანობას,
ისე ვისი და რამინი შვენოდნენ იმა ხანობას,
მათი პირისგან მიწანი სცდიდდნენ ყვავილიანობას,
ჰაერი – მუშკით ავსებას, ვარსკვლავი – მთვარიანობას.

ღრუბელმა ზეცა დატოვა მათსა სამყოფსა ზედანა,
მასკვლავნი წყვილად გადმოდგნენ, მთვარის ქიმებზე სხედანა,
ერთად ნათობენ, ბრწყინავენ, თავის ბედს ერთად სჭედანა,
ერთმანეთს დაჰლულუნებენ, ვითარც მტრედი და ქედანა.

ეგრეთ ვისი და რამინი ერთმანეთითა ხარობენ,
ვითარცა სწადდათ – ტკბებიან, ერთმანეთს ბარი-ბარობენ,
ხელს სასთაულად უდებენ, ალერსსა არ უარობენ,
ლაღობენ, ხუმარსიტყვობენ, სიცილსა არა კმარობენ.

ესრეთ იწვნენ რომ მათ შუა ბეწვი არ დაეტეოდა,
სნამდათ ავბედი აწ იმათ ვეღარა მიეტეოდა,
თუ რამე ნავსად ენახათ ყოველი განეტეოდა,
გარნა ხიფათი მათს თავზე კვლავაც დაეხეტეოდა.

მოაბადსა გაეღვიძა, ხელი ჰკიდა იქვე მწოლსა,
ეგონა რომ ეხებოდა, საყვარელსა თავის ცოლსა,
ხმელს ლერწამსა გადააწყდა, არა ვისის, მთვარის ტოლსა,
სად სინორჩე ვისის ტანის, სად ბერძიძა წევს საწოლსა.

სულაც არა ჰგავს სწორ ისარს მშვილი ტანმორკალულია,
ხელი ყველასა გამოსცნობს, ყველასა ხედავს გულია,
ეკალსა იგრძნობს ეკლადა, სტავრა კი მოქარგულია,
მიხვდება, თუნდაც შობითგან არ იყოს თვალხილულია.

რა მოაბად ეს შეიტყო, ვეფხისაებრ წამოვარდა,
საგებელთგან წამოიჭრა, თითქოს ქარი ამოვარდა,
განრისხდა და გაგულისდა, მთლად წყრომაში გადავარდა,
ძიძას ხელზე ხელი სტაცა, ზედ თითები ანავარდა.

ვეღარა შეძლო ძიძამა, ვერ გამოსტაცა ხელია,
მოაბადისა ხელი მას უჭერს შანთივით ცხელია,
ძრწის ფრიად შეშინებული, მოაბად კვლა ფიცხელია,
ვერცა რა შეძლო ძიძამა, ვერც უთქვამს მას სახელია.

ეგრე იტყოდა შაჰინშა: „ აქ რა საქმე აქვს დევსაო,
მისი დამჭკნარი სხეული რომ ჩემს საგებელს დევსაო?
ცოლად დევი არ შემირთავს, ვინ არის, რატომ მდევსაო?
ტანი სადა აქვს, ხელები, ან თავი სად უდევსაო?

ვინ დაგაწვინა ჩემს გვერდით შენ, ეშმაკთ უპირველესო?
არ მეყო ქვეყნად ავსულთა რაც მაწამეს და მთელესო?
ვითარც ეშმაკი სად მოგკლეს ანდა სად გაგამთელესო?
ვინ ხარ, საიდან მოსულხარ, ჩემზე რად გაგახელესო?“

ძიძამ ხმა არ ამოიღო, საპასუხო არა სთქვა რა,
მოაბადმან მსახურთ უხმო, ყვირილითა დაიბარა,
სანთლით მისვლას უბრძანებდა, ლანძღვით პირი გაიმწარა,
მაგრა არვის გაეღვიძა, მისკენ არვინ გაეჩქარა.

ძიძა შიშობდა, კრთებოდა: „ მზე რომ ამოვა დილითა,
მოაბად მნახავს, შემრისხავს, ამიკლებს მთლად ყვირილითა,
ვისო, შენ ძალგიძს დამიხსნა, რით ვერ გაძეხი ძილითა,
შაჰინშას ვერ გადვურჩები, დია მაწამებს ცილითა.

ვისი ნამდვილად სიზმრობდა, რამეთუ არ სძინებია
ის ღამეცა და წინაცა, სტკიოდა, სტეხდა ძვლებია,
მას დღესა მსმელთა თანმჯდარსა დრონიცა უტარებია,
აწ ქვე ეძინა, რაც მოხდა მცირედაც არ სმინებია.

ხოლო რამინი გულმდუღრად მღეროდა შეჭირვებითა,
ესრეთ იტყოდა: „– ჰე, ღამეევ, დღეს შევიქენი შვებითა,
დია ჰამო ხარ, რამეთუ, ძლივს ორნი ერთად ვწვებითა,
ბნელი ხარ, ჩემთვის ნათელი, აწ აღარ ჩვენ მოვკვდებითა.

ნუ გათენდები, ღამეო, რადგან მე დამიბნელდები,
თუ დღემდე წყნარი გახსოვარ, აწ სიყვარულით ვხელდები,
სიკვდილო, აწი უწყოდე მე შენთან ვერ მოვშველდები,
თვალო, ავთვალო, ტრფობისგან რად ცრემლობ, რადა სველდები?

გულო, მზად იყავ, თენდება, მზის ამოსვლისა ჟამია,
აწ ისარს გკრავენ სიშორის, გელის სამსალა, შხამია,
ჰამოა შეყრა როდესაც გაყრის არ თქმულა წამია,
ჰე, საწუთროო, არ გეყო, რაც გამითხარე ხრამია?

ჩემთვის ავისა შეყრისგან ფიქრობ, ნეტავ სხვას არასა?
სიხარულს მომცემ – წამართმევ, მიბრუნებ ყოფნის ჯარასა,
თუ უკვდავებას შემასმევ – ნაღველს გაურევ მწარასა,
გული დავკარგე, დავტირი, დავეძებ, დავალ შარასა.

ვინ არის ჩემებრ საბრალო, ჩემებრ ტყვე ვის უნახია,
არც მეგულება არავინ რომ არ დამიგოს მახია,
ხსნას არავისგან მოველი, ეს გული ყველამ დახია,
ვისი ამიხდა წყევლანი, ვინ თქვა: რამინზე ახია?“

ესრე მალვითა უბნობდა რამინ და ესრეთ კვნესოდა,
არა უწყოდა სახმილი რომ მალე დაეკვესოდა,
გულსა ვერარა ვერ არგო, ტანჯვანი ეკლად ესოდა,
ყოფნასა შეიჭირვებდა, ტანჯვას იხდიდა წესოდა.

გათენებასა შიშობდა, კვდებოდა ვისის გაყრითა,
თუმც კი იცოდა სიკეთე არ მოვიდოდა მაყრითა,
ცდილობდა კარგი ენახა ვით ცხენსა ლაგმის წაყრითა,
მაინც თავს ვერა შველოდა, თუნდაც სულთქმისა დაყრითა.

ანაზდად მოაბადისა რამინს მოესმა ხმანია,
რომელ ყვირილით იძახდა სანთლისთვის, ეს რა ხანია,
შიში მოედო ვით ვეფხის ნახვით ძრწოდიან თხანია,
„– მე წაღმა ხვნასა ვლამობდი, ჰე, რა უკუღმა ვხანია!

– მალ ადეგ, – ვისსა აღვიძებს, – ის მოხდა რაც გვაშინებდა,
ვა, ჩემს თავს შენის შორვებით, ეს გული სიკვდილს მინებდა,
შენ გძინავს, მე კი ფხიზლად ვარ, აჰა, მოვთქვავ და ვგმინებ და
მეგონა ერთის დარდობით მეორე მომითმინებდა,

მაგრა მეორემ მთლად დამწვა და წამიხდინა გრძნობანი,
მოაბადისა ხმა მესმა, იმან წამართო ცნობანი,
გავმწარდი, ლამის ჩავედი, მთლად დავივიწყე ძმობანი,
ლამის მოვკვეთო თავი და მოვსპო იმისი ხმობანი.

იმისი სიკვდილ-სიცოცხლით ქვეყნად რა მოგვემატისა,
თავს მოვკვეთ იმა საძულველს, ფასად არ მეტსა ბატისა,
ფეხშიშვლად სიარულსა სჯობს, რომ წაღა გეცვას ნატისა,
ესეთ ძმის სისხლი მგონია არ უმეტესი კატისა.“

„– დაწყნარდი, ნუ იხმარიებ ცნობისგან უცნობობასა, –
ვისიმა უთხრა, – ბედისას ვერვისგან ისმენ თხრობასა,
თუ შენი ბედი შენ გშველის, მეფედ გარდგიქცევს ყმობასა,
რაც გნადის – აგისრულდება, გულსა ნუ მისცემ ჭნობასა.“

ფიცხლად წამოდგა, ფიცხლადვე ძირს ჩაირბინა ბანია,
შაჰინშა ჯერაც მთრვალ იყო, არ იცის დრო და ხანია,
ვისი ძიძასთან ჩამოჯდა, ორივ ერთურთის მგვანია,
და მოახსენა მოაბადს: „ – ნუთუ ვეღარა მცანია?

ესრეთ რომ მიჭერ ხელზედა ლამის დაგიწყლულებია,
ლამის მომტეხე, მატკინე, ვარ ამის არგამძლებია,
აჰა, მეორეს მომკიდე, ფრთხილად, ნუ მტეხე ძვლებია,
ჩემებრი სუსტი ქალისთვის ასე რამ წაგავლებია?“

რა ვისის ტკბილი ხმა ესმა – შაჰინშამ დია, იხარა,
მის მოხერხებას ვერ მიხვდა, მისკენ არ გადაიხარა,
ძიძასა ხელი გაუშვა, არცა მოსწია, – მიხარა,
ძიძა ბადესა დაეხსნა, გაიქცა, ფარავს ტიხარა.

შაჰინშამ უთხრა ვისისა: „ჰე წამღებელო სულისა,
სულდაღებით რომ იყავი, მე ამან გამაგულისა,
გიხმე – პასუხი არ გამეც, ნუთუ ტყვე იყავ რულისა,
გული დამწვი და მაშფოთე, მწყევარი ვიქენ რჯულისა“.

ვისმა ნახა რომ მახესა ძიძა დაეხსნა სრულადა,
განმტკიცდა, ხმა ამოიღო, და ამბობს მხნედ, დიდგულადა:
„–ჰე ხელმწიფეო, არ მახსოვს ქმარი ცოლს ექცეს მტრულადა,
ვაგლახად თავი მგონია, შენგან ავად შემკულადა.

ვხედავ რომ მრუდად გამოჩანს ჩემი სიმართლის კვალია,
რასა კარგსა ვიქმ – ავს ხედავ, ეჭვმა გიბრმავა თვალია,
ღმერთმან ნურავის ნუ მისცეს ქმარი შენგვარად მწყრალია,
შენებრ აღსავსე ეჭვითა არვისგან შესაბრალია.

რაღა ვთქვა, რაღა ვამტკიცო, რა სიმართლესა ვეწიო,
როდესაც ქმრისა გვერდთ ვწევარ, მასთან ვარ შენახვეწიო,
ის კი მთელს სხეულს მიდაღავს, გულს მართმევს ვითარც ხვეწიო,
ჩემს მოყივნებას ჰლამობს და მთლად დამიკარგა პეწიო“.

მოაბად გულში ნანობდა რაც ცოლსა უთხრა ავია,
შენდობის თხოვნას ეცადა, აღარ სურს ჩხუბის ზავია,
ეგრე ეუბნა ვისისა: „-მაქვს შენი ტრფობის ხვავია,
ნურას იეჭვებ, მთვარეო, ნუღარას ნუ იდავია,

სულზედა უსაყვარლესი გიწოდე და სიხარული,
სიმთრვალითა ვქმენ ეს საქმე, სხვებისგან მთლად დაფარული,
ნეტამც სამსალა შემესვა, არ ღვინო დასაძმარული,
ისიც შენისა სიამით შევსვი მე აწი მწარული.

შენს გვერდით მიამებოდა ღვინო და არ დამელია?
ჰოდა, შეგცოდე, იმდენი დავლიე მე სასმელია,
თავსაცა ცუდი მივაგე, რბილი მეგონა ხმელია,
არცა ტახტს ვეცი პატივი, შემირცხვა თავსარქმელია.

თუ შენსას რამეს ვეჭვობდე, დე, ღმერთმა შემარცხვინოსა,
აწი რომც მომკლა, არ დავლევ თუნდ ერთსა წვეთსა ღვინოსა,
თუ რამ შეგცოდე, შემინდევ, მაგ გულმა არ მიწყინოსა,
ვინანი ჩემსა ნათქვამსა, ნუ იქმ, ნუ შეწყვეტ ლხინოსა.

მთრვალსა ხშირად მოუხდების შეცოდება მრავალგზისი,
და თუ ითხოვს შენდობასა – მიტევება გვმართებს მისი,
ღვინო ცნობას კაცს დაუხშავს, ვეღარა გრძნობს რას იქმს ისი,
მემთრვალესა არვინ მოჰკლავს – არ მეშინის ამის თქმისი.

თუ კაცმა ერთხელ შესცოდა და ქალს ეხვეწა: „– ჰქმენ დობა“,
მას მიტევება ეკუთვნის, მის სიტყვას ღმერთიც ენდობა,
ხამს რომ კეთილად მოექცე – გულსაც სჭირია ნმენდობა,
სამოსელს წყალი გარეცხავს, შეცოდებასა – შენდობა.“

ესრეთ ხვეწნითა მოაბად ვისსა მრავალგზის მიმართა,
ხან ცრემლი დააფრქვია და წელშიაც არ გაიმართა,
ვარდისა გაშლას ეცადა ვითარცა მზე ნაწვიმართა,
ვისი ისმენს და იხარის, ჰგავს ჩუმად გულში მღიმართა.

მხოლოდ მაშინ მიუტევა ცოდვიანმა უცოდველსა,
რადგან მიჯნურს ვერვინ ეტყვის რად გაიჭერ მთას და ველსა,
ვერცა სხვაგნით ვერას მოსთხოვს, არ გამოსჭრის მიწყივ ყელსა,
მიჯნურს მხოლოდ შეენდობა, რასაცა იქმს განახელსა.

რად გვიკვირს ეგზომ სილბილე მეფისა მოაბადისა?
მიჯნურობისგან უძლური გახდა ტყვე ვისის ბადისა,
ტრფობა კაცს ზოგჯერ ამდაბლებს, სჩადის რაც არა სწადისა,
ხან კი გაიხდის შემძლებლად მანამდე ვერაქმნადისა.

გითხრა: მინახავს ველური თხა ლომზე გალომებული,
ნადირთა მეფის შემპყრობი, მასზედა აღმატებული,
ოდეს ლომს ტრფობა შეიპყრობს, იგი, ღონითა ქებული
მელიის გული ჩაედვის ლომობადავიწყებული.

ვინც უწყის მიჯნურობისა ყოვლის მპყრობელი ძალია,
სიშმაგეს ნუღარ უზრახავს მიჯნურს – კაცი თუ ქალია,
ტრფობის თესლს ნურვინ დათესავს – ნაყოფს ვერ მიითვალია,
მისთვის არც „გუშინ“ არ არის და არცღა ახსოვს „ხვალია“.

საწუთრო ყოვლის მტერია ვინცა ის შეიყვარაო,
აამაღლებს და ძირს დასცემს, მით ვერვინ გაიხარაო,
მისცემს რამეს და უკან სთხოვს, თითქოს ამცნობს რომ „კმარაო“,
სიტკბოს სიმწარეს დაურთავს, როს თვალს სდის ცრემლის ცვა-
რაო.

კურთხევას წყევლას აყოლებს, დღეს მოადევნებს ღამესა,
ლხინს ჭირით შეცვლის, მღვრიეთი მის წყლისა სიკამკამესა,
მდიდარნი გლახაკდებიან თუ ბედსა ვერ აამესა,
მოყვარეს მტრად გადააქცევს, წაართმევს სითამამესა.

ცვალებადია საწუთრო, ლხინსა შეგვიცვლის ჭირითა,
ვისაცა გაგიმარჯვიათ, მინახავს მერმე სტირითა,
რომ მრავალფერობს საწუთრო ხან იაფით, ხან ძვირითა–
შევიტყობთ ვისი-რამინის ტრფობითა გასაკვირითა...

პოეტურად გარდაქმნა **ანზორ სიფრაშვილმა**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დემოგრაფიული ჩანაწერები ქსნის ხეობიდან

სულთა მატიანების სახელით ცნობილი ისტორიულ-დემოგრაფიული ხასიათის დოკუმენტებში მეტად საინტერესო მასალებს გვაწვდიან ქართული ონომასტიკის შესასწავლად. ერთ-ერთი დოკუმენტია სტატისტიკურ-დემოგრაფიული დოკუმენტი სათაურით „ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერა“, რომელშიც ორი 1774 და 1781 წლების აღწერის მასალებია შესული.

ამ აღწერის საერთო სათაურია „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები“ (დემოგრაფიული ძეგლები), წიგნი პირველი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ავტორობით გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერებამ“ 1967 წელს. ძეგლი გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან მეგრელაძემ და ნათელა ჯავახიშვილმა.

როგორც შესავალშია აღნიშნული, დავთარი დაწერილია თხელ გრაგნილ ქაღალდზე, სიგრძე აქვს 7 მეტრი და 40 სანტიმეტრი.

დავთარი დაწერილია მხედრული გრაფიკით, შავი მელნით, რომელიც გვაუწყებს: ქ. ადიდნეს მეფობა მათის უმაღლესობის მეფის მეორე ირაკლისა, გვებძანეს ჩვენ მათ მიერ მონათა მათთა თუმანიშვილს მდივნის გორჯასპის შვილს მდივან ლაშქარნიოვის მანუჩარს და გარსევანაშვილს მგალობელს ტეტიას აღწერად ქსნისა, აღვსწერეთ ბრძანებისამებრ მათის უმაღლესობისა აღიწერა თვეს ენკენისთვის ე. წელს უჲთ.

როგორც ჩანს ქსნის ხეობის და საერისთაოში მცხოვრები მოსახლეობისა და, საერთოდ, სოფლების აღწერა მომხდარა მეფე ერეკლე მეორის ბრძანებით. ამასთან აღწერილია ზოგი ბარის სოფელიც, რაც დღევანდელი გორის რაიონის ნაწილს წარმოადგენს.

„აღწერის მასალები მრავალფეროვანია როგორც ისტორიულად, ისე ენობრივად. ისინი ასახავენ ხეობის ისტორიას, ნასყიდობას, მიგრაციას, იმიგრაციას, ენაში გამოვლენილია ქსნური მეტყველების ენობრივი მოვლენები, ძველი გრაფემები, პალეოგრაფიის საკითხები. აქვე უნდა ითქვას, რომ „აღწერის“ ენა მაინც იმდროინდელ მეტყველებასთან არის გაიგივებული, მაგრამ მთელი რიგი საკითხები არქაულობით არის გამორჩეული.

ზემოხსენებული აღწერების მიხედვით, ხეობის სოფლები ძირითადად მონოგამურად, გვარების მიხედვით იყო დასახლებული და მიცემითი ბრუნვის ფორმით არის გამოხატული, აღნიშნავს ადგილის გარემოებას, მაგალითად:

შველიეთს შერმადინი გელის შვილი
შერმადინი შერმადინის შვილი

სოფელში სულ აღწერილია თერთმეტი კომლი, ყველა გვარად შერმადინია, ერთ-ერთი შერმადინი ბერი რუსიტასშვილია, უფრო ადრე ეს გვარი არსად გვხვდება, ჩანს, რომ შემდგომ საკუთარი სახელიდან რუსიტა 1781 წლის აღწერაში ახალი გვარი – რუსიტასშვილი ჩამოყალიბდა. ჩანს, რომ ეს იყო ტრადიცია, რადგან მამიდან ან პაპიდან ახალ გვარს ეყრება საფუძველი. 1774 წელს სოფელში მცხოვრები შალიკადან 1781 წელს უკვე გვხვდება შალიკასშვილი ივანე, ელისბარიდან – ელისბარაშვილი, ქიტიადან – ქიტიაშვილი და სხვა.

1774 წლის აღწერაში დორეულთა კარს ძირითადად ცხოვრობდნენ დორეულები, მათ შორის დორეული სისოურის შვილი, რომელიც 1781 წლის აღწერაში უკვე დორეული აღარ არის და დაფიქსირებულია როგორც სისოურისშვილი, რომელსაც ჰყავს შვილები ივანე და გოგია. დორეული პაპუნას შვილი შემდგომ ცალკე გვარად პაპუაშვილად არის და მისი შვილებია ღვთისია და ივანე.

ჩიტისშვილი შემდგომ უკვე დორეული აღარ არის და ცალკე ოჯახადაა აღწერილი, – შვილებია ივანე და გამხუა.

ასევე თარიმანი, რომელიც თარიმანისშვილია და შვილები ბერი და გოგია.

ასეთივე ფორმით გვხვდება მთელი რიგი ანთროპონიმები, რომელთა შესწავლაც აუცილებელი საქმეა სამომავლოდ.

პირველ აღწერაში მიცემითი ბრუნვის ფორმით ასევე გვხვდება შემდეგი დასახლებული პუნქტები: გავაზს, ხოზოეთს, კვერიათს, ქენქაანთს, ვაკეს, ჭორჭოხს, კორინთას, ცხრაზმას, ახალდაბას, მხიარეთს, დაბაკნეთს, თოხთას, ზოდეხს, დადიანეთს, ცხაოტს და სხვებს.

აღსანიშნავია, რომ 1781 წლის აღწერაში ზემოთნახსენები მიცემითი ბრუნვის ფორმები, რომელშიც ადგილის გამოსახატად რამდენადმე დარღვეულია, აქ ძირითადად გვხვდება ასეთი ფორმები „გარეშემოს“, რაც ჩვენი დაკვირვებით დასახლებული პუნქტების გაზრდასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ყოველივე ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ძირეული გვარიდან საკუთარი სახელის მიხედვით წარმოშობილი ახალი გვარები ძირითადად სახლდებოდნენ იმ სოფლის მიდამოებში, რომლებიც მათ მამა-პაპას ეკუთვნოდა და ტერმინიც „გარშემოს“ ახალი დასახლების აღმნიშვნელად იქცა. სულხან-საბა აღნიშნავს, რომ „გარეშემო“ არის დასახლება გარემიტანებით[1]. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „გარეშემო იგივეა რაც გარშემო“.[2] მოვიყვანთ მაგალითებს: გარშემოს გავაზიდამ, გარეშემოს მოჭალიეთიდამ, გარეშემოს საქორეთიდამ, გარეშემოს ხარბალიდამ. არის ამ ტერმინის გარეშეც: ნახიდადამ, ქურთიდამ, წირქოლიდამ, ახალგორიდამ, ძეგლევიდამ, ლამისყანიდამ, მეჯვრისხევიდამ და სხვა.

ადგილის ზმიზედებს შორის ცოტაა ისეთი, რომლებშიც რაიმე მაწარმოებელი არ გამოიყოფა. ასეთ ფორმებს ხშირად დაერთვის თანდებული, რომელიც ასევე ფუძესა და სახელობითი ბრუნვის ფორმასაც დაერთვის. მაგალითად, ფორმა ნახიდიდამ, **დამ** ფორმა ძველი ქართულიდან შემდეგომ ფონეტიკური ცვეთის შედეგად უნდა იყოს მიღებული, რომ თანამედროვე ქართულში აღარ გვხვდება. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ***„დამ არის დიალექტური ფორმა“***[3].

ორივე სტატისტიკურ აღწერაში გვხვდება ასეთი გეოგრაფიული სახელები: წინუბანი, უკანუბანი, უკანამხარე, რომლებიც წარმოადგენენ ადგილის ზმნიზედებს. გამოხატავენ ადგილს. შესაბამისი კითხვებია (აქ, იქ, იქამდე) სად, აქედან იწარმოება მიმართებითი ზმნიზედებიც (სადაც, საიდანაც, საითაც).

რამდენიმე გეოგრაფიული სახელი გვხვდება **თა** სუფიქსით ნაწარმოებნი: კორინთა, თოხთა, ქურთა, ჯავახთა, ჭურთა. არის მიკროტოპონიმიაშიც. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია **-თა** სუფიქსი ქართულ ნიადაგზე არის წარმოშობილი და წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას. მას დროთა ვითარებაში ადგილის სახელთა სუფიქსობის ფუნქცია დაუკავშირდა, როგორც მაწარმოებელი სუფიქსი“.[4]

აღწერაში გვხვდება ასევე **-ეთ** მაწარმოებელი სუფიქსით გეოგრაფიული სახელები: დაბაკნეთი, მახიარეთი, დადიანეთი, გეზერეთ-გეზევრეთი. როგორც ზემოხსენებულ გამოკვლევაში აღნიშნულია, **-თა** სუფიქსთან ფონეტიკურად ახლოს დგას ამავე ფუნქციით აღჭურვილი **-ეთ** ბოლოსართი, რაც, ამასთანავე, სიმრავლესაც აღნიშნავს.[5]

„ქსნის ხეობის სტატისტიკაში“ ყველაზე მრავლად წარმოდგენილია **ძეზე** და **შვილზე** დაბოლოებული გვარები, შემდეგ **-ურ, -ულ, -ელ, -ან, -ანთ** მაწარმოებლებით, ასევე სოციალური მნიშვნელობის ანთროპონიმები: **ყმა, ხიზანი, აზნაურიშვილი, ბოგანო.**

შვილზე დაბოლოებულ გვარებს უმეტეს შემთხვევაში შენარჩუნებული აქვთ ბრუნვის **ს** ელემენტი, მაგალითად სოფელ **კვერიათიდან** – *გამიხარდის შვილი, ოქროპირის შვილი, ურჯუკას შვილი.*

თინიკაანთ კარიდან – ლოთეს შვილი, მამუკას შვილი, ირემას შვილი;

პავლიანთ კარიდან – *ბალას შვილი, ბერუას შვილი, ივანეს შვილი;*

ჭორჭოხიდან – *ფოცხვერას შვილი, ციხელას შვილი, შერმაზანის შვილი;*

ჩიტიანთ კარიდან – *ბასილას შვილი, ნარიმანის შვილი, შერმაზანის შვილი;*

მახიარეთიდან – *სეხნიას შვილი, წიპტურის შვილი, კაციას შვილი.*

უსაგნო ფორმები ძირითადად გვხვდება **ძე**-ზე დაბოლოებულ გვარებში, კერძოდ:

ჭერათხევიდან – *ბუჯიძე, ზანგურიძე, ილურიძე, ცეცხლაძე;*

ხარბალიდან – *ქენქაძე; ხოზოეთიდან - ობგაძე;*

დადიანეთიდან: *ბერიანიძე, ღოღაძე, გოგოძე;*

ლარგვისიდან – *ზარიძე;*

წირქოლიდან - მორბედაძე;

ცხაოტიდან - *ჟივიძე* და სხვა.

აღნიშნული „აღწერის“ მასალებში შვილზე დაბოლოებულ გვარებში ჯერ კიდევ შემორჩენილია ნათესაობითში და მიცემითში დასმული სახელების შინაარსობრივი წარმოდგენა და აღნიშნული იყო ესა თუ ის პირი (შვილი) ვისი ჩამომავალი იყო.

აღწერილობაში შევიდა სახელდობრ, ჯერ გვარის სახელწოდება, ხოლო შემდეგ პიროვნების უახლოესი წინაპრის (მამის ან პაპის) სახელი, რომლითაც შემდეგში აღინიშნებოდა უახლოეს ნათესავთა გაერთიანების (პატრონომიის) სახელმწოდება. მაგალითად: *ილურიძე ბიბილას შვილი გიორგი, ილურიძე ქიტიას შვილი გიორგი, ილურიძე შიოს შვილი ტუსია და ბაცაცა, ბუჯიძე ჩიტის შვილი ღვთისია და გოგია, ბუჯიძე დათუნას შვილი გიორგი და აბრამ, ცეცხლაძე დათუნას შვილი ივანე და ბერი* და სხვა.

წლების შემდეგ პატრონომიის ეს სახელწოდება ენის განვითარების გამო შეიცვალა და ადგილი დაიმკვდირდა ახალმა სახელწოდებამ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაძნელებულია გვარისა და მამაშვილობის ურთიერთობისგან განსხვავება, მაგალითად: *ბუთხუზი პაპუას შვილი, ბუთხუზი თადილას შვილი, კაჭიური სვიმონას შვილი, კაჭიური ბაღიას შვილი,* აქ რაიმე განმასხვავებელი ნიშანი გვარის მამისშვილობის ურთიერთობისგან არ გვხვდება. მიგვაჩნია, რომ პირველად დასახელებული გვარია, ხოლო მეორე ელემენტი – სახელი.

1774 წლის აღწერაში მიდელაანთ კარში აღრიცხულია მიდელანთ *ხიზანა*, რომელიც 1781 წლის აღწერაში უკვე *ხიზანიშვილია*, რომელსაც ჰყავს შვილები დათუნა და ბერი.

1774 წლის აღწერაში ხარბალში *ქენქაძე გოგია* მომდევნო აღწერაში *გოგიაშვილია,* ჰყავს შვილები ბერი, შიო, გივი. *ქანქაძე ჯაბანი* უკვე მომდევნო აღწერაში *ჯაბანისშვილია*, თავისი სამი შვილით.

ზემოხსენებულ „აღწერებში“ გვარი (ანთროპონიმი) მოიცავს ახლო ნათესავთა ჯგუფს, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას ძირითადად მამის ან პაპის მხრიდან ერთ საერთო წინაპარს უკავშირებენ. გვარის განაყარია შტოგვარი, რომელიც თვით გვარში ჩნდება ოჯახების გაყოფის შედეგად. გვარებს ძე და შვილი ფორმანტი ეკვეცებათ, როგორც ტოპონიმთა წარმოებისას, ისე მაშინაც, როცა წარმოდგენილია გვარის კრებითობა ან ფორმანტს ერთვის მრავლობითის **-თ** სუფიქსი და „აღწერაში“ ვხვდებით ასეთ ფორმებს: **აბუთ კარში** – *ხოკრიანთ ბერის შვილი, ყველიანთ ბერის შვილი, ყველიანთ დათოს შვილი;*

საძეგურში – *სულანთ ნადირას შვილი, ნავროზანთ შიუკას შვილი, ნავროზანთ გამახარას შვილი, ნავროზანთ შალვას შვილი;*

გეზერეთში – *შუღლიანთ გიორგის შვილი, შუღლიანთ ქიტიას შვილი;*

იკოთში – *გვრიტიანთ პაპალას შვილი, გვრიტიანთ ბერანას შვილი, ზანგუ-*

გაგრძელება გვ.9 ▶

1 ს.საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991, გვ. 149

2 ქეგელ, 1951, II, გვ. 1065.

3 არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1968.

4 ჩვენი მეცნიერება, აპრილი-მაისი, №11-12.

5 თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში,

გიორგი გოგოლაშვილი თამაზ ხმალაძე

ჩვენმა ხანგრძლივმა მეგობრულმა თანაცხოვრების წესმა რამდენიმე წიგნი დაგვაწერინა – დიალოგებისა და გამონოლოგებული დიალოგებისა; დიახ, როცა თემაზე, საკითხზე, პრობლემაზე ხშირად გვიწევდა საუბარი, „ჩემი“ და „შენი“ იკარგებოდა დ ყველაფერი „ჩვენი“ ხდებოდა, დიალოგი „გამონოლოგდებოდა“; ასე შეიქმნა ერთობლივი წიგნები „რატომ კარგი აგიგია“ (2023) და „დიდი დღე“ (2025)... ეს „მინიატურებიც“ „გამონოლოგებული დიალოგების“ ციკლიდანაა – მწერლობასა და მწერლებზე ფიქრმა შვა იგი... გადავწყვიტეთ გამოქვეყნება: იქნებ სხვებისთვისაც იყოს საინტერესო...

„ვინ ოთარაა ცოდო“...

კლასიკურ ნაწარმოებში ყველა ეპიზოდს, ყველა პასაჟს, ყოველ წინადადებას, ფრაზას, სიტყვას თავისი დანიშნულება აქვს; თავისი აზრი და მიზანი... მითუმეტეს პერსონაჟს... ზედმეტი პერსონაჟი კლასიკურ თხზულებაში არ არსებობს...

„ოთარაანთ ქვრივი“ კლასიკური ნაწარმოებია...

ვინ არის და რატომ შემოჰყავს მწერალს სოსია მეწისქვილე?

სოსია არჩილის ახლომახლო ტრიალებს და არჩილი პატივისცემით ეპყრობა.

გიორგი კვდება. თავზარდაცემულები არიან... ბერიკაცი აქ გამოჩნდება პირველად. „ბნელ კუთხეში მობუზული ქვითინებდა ჩუმად, თითქოს ეშინოდა, არავინ გამიგოსო“... ღარც გაიხსენა...

დარჩა მარტოდმარტო თავის თავთან... ამან გააბეჩავა, ამან გაასაცოდავა, ამან დაჩაგრა...

და ეს გასაცოდავებული, დაბეჩავებული, დაჩაგრული დაიბრიყვეს...

რა ხდება, რატომ შემოჰყავს გიორგის სიკვდილის ჟამს? გიორგის სიკვდილთან რა კავშირშია?

არაა ეს მოთხრობა მხოლოდ ხიდჩატეხილობაზე...

თუ გიორგისა და კესოს შორის „ხიდია ჩატეხილი“, სოსიასა და ოთარაანთ ქვრივს შორის ხომ არის „მთელი ეს ხიდი“... ისინი ხომ ერთი სოციალური წრის წარმომადგენლები არიან?

„ცოდო ვარ, შვილო, ცოდო!

მართლა რომ ცოდოა!

მაგრამ ვინ არ არის ცოდო?

ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევლა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“...

პასუხი არსებობს ამ კითხვაზე

„ღმერთმა გიშველოს სიკვდილო“...

ვაჟა-ფშაველამ ბრძანა, სიცოცხლე სიკვდილით შვენობსო:

„ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა!...“

„– არ გებრალები, ჩემო სოსიავ, რომ ასეთი ცოდვა დატრიალდა ჩვენს ოჯახში!... – შესჩივლა არჩილმა მეწისქვილეს, რაკიღა ნაღველის მოზიარე იგულვა...

– ოღონდაც, ბატონო, ოღონდაც! – წაიქვითინა ახლა ხმამაღლა მეწისქვილემ...“

სოსიაა ერთადერთი, ვისაც ამ უბედურებაში ოთარაანთ ქვრივი გაახსენდა.

„– ვაი, მაგის დედის ბრალი, ვაი!...

მარტო ეხლა მეწისქვილის ხსენებამ მოაგონა არჩილს ოთარაანთ ქვრივი. ამ ვაი-ვაგლახში აღარავის მოჰგონებია, შვილის ამბავი დედისათვის შეეტყობინებინა“...

ვინაა ეს სოსია?

მეწისქვილე. არც გვარი ვიცით, არც წარმომავლობა... ხელობა ვიცით მხოლოდ – მეწისქვილეა. მეწისქვილეობა არაა ურიგო ხელობა; საკმაოდ შემოსავლიანიც არის და დაფასებული ჩანს (არჩილის მიმართვიდანაც იგრძნობა)...

მაგრამ დაბეჩავებულია, გარიდებულია საზოგადოებისაგან („ბნელ კუთხეში მობუზული ქვითინებდა ჩუმად“)... „დაბრიყვებული ბერიკაცი გადაიქცა თოვლზე“ (ბოლო ეპიზოდში)...

რამ გაასაცოდავა, რამ დააბეჩავა, რატომ იბრიყვებენ ასე?

სოსია თავის დროზე არც ურიგო ყმაწვილი უნდა ყოფილიყო, ოთარაანთ ქვრივზედ რომ შეუვარდა გული და ხელი სთხოვა გასათხოვარ ქალს...

„თითქმის ოცდაათი წელიწადია, მაგ დედაკაცზე გული შევარდნილი ჰქონდა, ჯერ კიდევ გასათხოვარი ყოფილა. უთხოვნია და დაუწუნიათ“...

რატომ დაიწუნეს, არ ჩანს, მაგრამ... ეტყობა, ღირსეული კაცი იყო! როცა თევდორე გარდაიცვალა, აღარ შეუბედავს ხელის თხოვნა:

„როცა ოთარაანთ ქვრივი დაქვრივდა, მაშინ ერთხელ კიდევ გაუარა თურმე გუნებაში იმისმა შერთვამ, მაგრამ თავის გონებაში თქვა: – მაგას ისეთი ქმარი მოუკვდა, რომ მე ფეხის ჩლიქადაც არ ვეკადრებოდი... ვეღარ შევბედავ, ვეღარ“...

და ოცდაათი წელი იარა ამ მძიმე ტვირთით – ოთარაანთ ქვრივის სიყვარულით... არც არავინ თანამგრძნობი, მესაიდუმლე, მანუგეშებელი... ოთარაანთ ქვრივმა ვეთუ იქ „გვარიშვილობის ცხრაკლიტულით“ დაკეტილი გული დახვდა გიორგის, აქ რაღამ დაკეტა სოსიასათვის ოთარაანთ ქვრივის გული?...

გიორგისა და კესოს გამო მითქმა-მოთქმა იყო „დედაკაცობაში„: „გაიგებდი, ერთმანეთი ჰყვარებიათო... ის კი ადამიანი არ იყო?! ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი – მეტი რა უნდა სიყვარულს?“...

არაო, – თქვა ილიამ... – მეტიაო საჭირო...

ამის გახსენებაც გვმართებს:

გიორგი – „ცოცხალი მაგის ღიმს ვერ ვეღირსე, ვკვდები და მაგის ცრემლი ზედ დამდის“...

სოსია: – „ცოცხალზე არ გამახარა წუთისოფელმა და მკვდარზედაც აღარ მატირებთ? ცოდო ვარ, შვილო, ცოდო!“...

რა ითქვა ამ პარალელით?

ორივე სიყვარულმა დაჩაგრა, ცალმხრივმა სიყვარულმა...

„სიყვარული ბრძანებით არ მოდისო“... – კამათის დროს რომ ამბობს კესო... და ეძებს მიზეზს: – „ხიდია ჩატეხილი, ხიდი! – წამოიძახა ტკივილით კესომ“ – ეს უფრო თავისმართლება იყო უცნაურ სიტუაციაში ჩავარდნილი ახალგაზრდა ქალისა... და ეს რომ ასეა, ამად შემოჰყავს სოსია...

და კიდევ ერთი პასაჟი...

სოსიას ტირილის ხმა რომ გაიგონა, ვინა ხარო, ოთარაანთ ქვრივმა იკითხა... სოსია უპასუხებს:

„თუ გაგონდები, კარგია, თუ არა და მაინც ღმერთმა გილხინოს, თუ შვილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგრჩა ამ წუთისოფელში“ – ეს თანაგრძნობით ნათქვამია და ამას მოსდევს საოცარი „თანმხვედრი კითხვა“ ოთარაანთ ქვრივისა:

„– რატომ რა დამრჩენია? სიკვდილის მოლოდინი ლხენა თუ არ გგონია!“...

სიკვდილის მოლოდინი ლხენაა ოთარაანთ ქვრივისათვის...

სიკვდილის მოლოდინი არის კი ლხენა სოსიასათვის?...

სიკვდილი მოლოდინი ლხენა იქნებოდა გიორგისათვის, რომ ეცოცხლა?

ეს რთული კითხვაც გააჩინა ამ პასაჟმა...

დასვა წერტილი ილიამ. არა, წერტილი კი არა, მრავალწერტილი... და კითხვის ნიშნები...

აი, სიკვდილით დაშვენებული სიცოცხლისა გვინდა ვთქვათ.

***

1887 წლის 24 ოქტომბერს სტავროპოლში მოკლეს დიმიტრი ყიფიანი... სიკვდილმა გაიმარჯვა 73 წლის ღვაწლმოსილი ქართველი მამულიშვილის სიცოცხლეზე...

გაიმარჯვა, მაგრამ ვერ იზეიმა... დროებითი აღმოჩნდა ეს გამარჯვება: აკაკი წერეთლის პოეტურმა შედევრმა – „განთიადმა“ – დაამარცხა დიმიტრი ყიფიანის სიცოცხლეზე გამარჯვებული სიკვდილი და გააგრძელა დიდი სიცოცხლე თავდადებული ქართველისა!...

დიახ, **„განთიადი“ დიმიტრი ყიფიანის სიცოცხლის გაგრძელებაა**... სწორედაც ღირსი გაგრძელება:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!...
ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ:
შენს მინას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

რომ არა ის ტრაგიკული შემთხვევა; რომ არა შეჭიდება სიკვდილისა დიდ სიცოცხლესთან და რომ არა დროებითი გამარჯვება სიკვდილისა, ქართული პოეზიის ეს შედევრი არ შეიქმნებოდა!... „თანაავტორადაც“ კი შეიძლება მივიჩნიოთ ეს ტრაგიკული შემთხვევა ამ ლექსისა...

სიკვდილთან დამარცხებული სიცოცხლის გაგრძელების სურვილმა შექმნა ეს შედევრი...

დიდ სიცოცხლეზე გამარჯვებული სიკვდილის დამარცხების სურვილმა შექმნა ეს შედევრი!...

„განთიადი“ პოეტური შურისძიების მაგალითია!...

რამდენიმე ეპიზოდი?

ნაწარმოები წერის დროს შეიძლება ისე განვითარდეს, მწერლის თავდაპირველ ჩანაფიქრს ასცდეს. ამ შემთხვევაში თავდაპირველი ჩანაფიქრის სათაურიც შეიძლება შეიცვალოს.

დავით კლდიაშვილი გვთავაზობს ამის საინტერესო მაგალითს მემუარებიდან:

„მოამბე“-ს რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია წერილს წერილზე მიგზავნიდა, ჟურნალისათვის უსათუოდ რამე გამომიგზავნეო. იმხანად მქონდა პატარა ნაწყვეტი, რაც „სამანიშვილის დედინაცვალშია“ – პლატონის სიზმარი. ვუთხარი მხეიძეს: როგორ მირჩევ, გავუგზავნო თუ არა ეს პატარა „სიზმარი„?...

– ნუ სულელობ! – შემომიტია მან. – შენ ისმეთ რამეს ყვები, რომ თუ არ აჩქარდები, მშვენიერი მოთხრობა იქნება! არ გაგზავნო, იცოდე!

დავუჯერე მეგობარს და მოკლე ხანში პატარა სიზმრის მაგივრად დაიწერა მოზრდილი მოთხრობა“.

მწერალს განზრახული ჰქონდა პატარა მოთხრობის დაწერა, „სამანიშვილის დედინაშვალში“ პლატონის სიზმარი რომ არის; შემდეგ შეიცვალა განაზრახი და დაწერა ვრცელი მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“. ეს ჩვეულებრივი შემოქმედებითი პროცესია; პატარა მოთხრობას სათაურად ჰქონდა „ძილი მოსვენებაა“. გასაგებია მწერლის აზრი: ძილი მოსვენებისთვის გაუჩენია ღმერთს; პლატონს მამულის გაყოფის შიში ძილშიც არ ასვენებს.

მერე, როცა შეიცვალა განაზრახი და დაიწერა ვრცელი მოთხრობა, „სიზმარი“ ერთ პატარა ეპიზოდად იქცა ამ მოთხრობისა და შესაბამისად შეიცვალა მოთხრობის სათაურიც: „ძილი მოსვენებაა“ იქცა „სამანიშვილის დედინაცვლად“...

ეს ამბავი ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღმა“ გაგვახსენა. პოემის სრული სათაურია „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“.

პოემაში ყაჩაღი კაკო ბღაჭიაშვილია... შესავალშივე გვაცნობის პოეტი:

„კუდი-გორასთან ერთი ტყე არი, –
უწინ ყაჩაღის იყო საფარი, –
(...) იქა ცხოვრობდა ბღაჭიაშვილი,
კაკო, ყაჩაღად გადავარდნილი...“

კუდიგორისკენ მიმავალი ზაქრო გააფრთხილა მეურმემ:

„იქ საფრთხე რამე არ დაგემართოს,
ბღაჭიაშვილი იქ იმყოფება...“

მერე ხვდება ზაქრო კაკოს. და ზაქრო უამბობს კაკოს თავის თავგადასავალს... მოისმინა კაკომ: შეუქო ვაჟკაცობა და „ორივ წაიღო ერთმა ნაღველმმა“...

აკი **რამდენიმე ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდანო?**...

ფაქტობრივ, თუ ეს ჩაითვლება ყაჩაღის ცხოვრების ეპიზოდად, ერთი ეპიზოდია აღწერილი, როგორ გაეცნო კაკო ბღაჭიაშვილი ზაქროს...

ფაქტია, ილია ჭავჭავაძეს განზრახული ჰქონდა დაეწერა პოემა ყაჩაღის ცხოვრების შესახებ. კოხტა აფხაზი იგონებს:


ნახ. მრევლიშვილისა

„ერთხელ ილია მოდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხავ[ს]: ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო? ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აბხაზიანთსა მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე რომ, როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა, ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ მეორე დღეს კი გვიამბო თავისი თავგადასავალი, მხოლოდ დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყევლის და აგინებსო“.

ეს 1859 წლის სექტემბერში მომხდარა. ამ შეხვედრამ და შთაბეჭდილებამ შეუქმნა საფუძველი და 1860 წელს „კაკო ყაჩაღი“ იწერება...

ასე შეიქმნა პოემა, რომლის სათაურიც არის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ეს პირველნაბეჭდის სათაურია. ხელნაწერებში რამდენიმე ვარიანტია სათაურისა: „რამდენიმე სურათი“, „მოთხრობა ქიზიყელისა (შეუპოვარი)“, ნაწყვეტი დაიბეჭდა სათაურით „ერთი მოთხრობის დასაწყისი“...

საბოლოოდ სათაურის ამ ვრცელ ვარიანტზე შეჩერდა – „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან?“ იმთავითვე ლიტერატურული კრიტიკაც და ფართო მკითხველი საზოგადოებაც პოემას მოიხსენიებენ „კაკო ყაჩაღად“...

კადრი ფილმიდან „აკაკის აკვანი“

სანამ დაიწყება პოემაში ამბის თხრობა, ზაქროს თავგადასავალი, კაკო ყაჩაღის სახე უკვე ჩამოყალიბებული აქვს ავტორს; შესავლიდანვე გვიხასიათებს, გვაცნობს კაკო ბღაჭიაშვილს:

„მალია როგორც ხირიმის ტყვია და ტყვიასავით დაუნდობელი“...

„წამოხტა კაკო ლომივით ზეზე“ (ავტორი);

„შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი, გამოქცევიხარ უსამართლობას... შენი ამბავი, ახლა მართალი, ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს“ (ზაქრო);

„საღ მიღამდება, იქ მითენდება... კურდღელ **ნახ. მრევლიშვილის** ძილი და იარაღი დღედაღამ ხელძი“... (თავად კაკო)...

„ახ, ნეტავი შენ“... – მეურმე შენატრის ზაქროს; ზაქროს ნატვრა – ისე იცხოვროს, როგორც კაკო ცხოვრობს – თავისუფლების ნატვრაა, დამოუკიდებლობის ნატვრაა ეს... კაკო სწორედ გმირობასთან, თავისუფლებასთან, დამოუკიდებლობასთან ასოცირდება...

უკვე არსებობს ტიპი გამოკვეთილი ხასიათით, ბუნებით და... იწყება ზაქროს თავგადასავალი... თითქოს ეს ამბავი სჭირდება იმისათვის, რომ მიგვიყვანოს კაკოსთან...

ზაქრო საინტერესოდ ჰყვება თავის ამბავს. მძიმე თავგადასავალი, ტრაგიკული, საინტერესო... კაკო ყაჩაღისაკენ მიმავალი გზა აღმოჩნდა ეს ამბავი... მაგრამ იმდენად სრულყოფილი, იმდენად მხატვრულად შეკრული და დამოუკიდებელი, რომ ავტორმა ზაქროს კაკოსთან მისვლისას დასვა წერტილი... ნაწარმოები დასრულდა... განაზრახვის სათაურს ვეღარ შეელია, შერჩა და შთამბეჭდავმა სახემ ყაჩაღისა მოითხოვა სათაურად „კაკო ყაჩაღი“...

საინტერესო შემთხვევაა...

„დღეს სტუმარი ხარ შენ ჩემი“...

რევაზ ინანიშვილი „ჩიტების გამომზამთრებლის“ წინასიტყვაში წერს: „ავტორს (იგულისხმება ამ წიგნის ავტორი გ. გ.; თ. ხ.) და არა მარტო მას – ალბათ ყველა ავტორს ქვეყანაზე, აქვს პრეტენზია, რომ მისი მთლად მცირე ფორმის ქმნილებაც კი ეხება მრავალ საკითხს, და თუკი ამ საკითხების გამოცალკევებას დავიწყებთ, ათობით მეტი წერილობითი ფართობი დაგვჭირდება, ვიდრე თვით ნაწარმოებს უკავია“.

ეს აზრი აკაკი წერეთლის „გამზრდელმა“ გაგვახსენა. პოემა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია თვით აკაკის ნაწარმოებთა შორის.

პოემის სათაურიდან („გამზრდელი“), ეპიგრაფიდან („ვუძღვნი ჩვენს პედაგოგებს“) და ფინალიდან (ჰაჯი უსუბის „განაჩენი“) ნათელია, რომ მთავარი საკითხი სწორედ აღზრდის პრობლემაა. გავიხსენოთ ეს ფინალური ეპიზოდიც:

„მაგრამ უსუბ ეუბნება:
„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“
წარმოსთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!...
ჩაიკეცა სულთამბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია...“

ფაცხაში ძიძიშვილისა და ძუძუმტის შეხვედრიდან მოყოლებული, ბათუს წასვლამდე ცხენის მოსაყვანად, ერთი მეორის პირისპირ დგანან „როგორც ძმა და თვისი ტოლი“...

მერე ისევ შეგვახსენა ავტორმა მათი განშორებისას, რომ ძუძუმტეები არიან:

„არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილო ჩემი ტყვია:
დედიჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია!...“

კი, აქ საუბარია იმ ადათზე, რომელიც ქვეყანას მიაჩნია „რჯულზე უფრო უმტკიცესად“, „მორდუობაზე“...

მაგრამ ეს არის მხოლოდ საფუძველი ბათუს მიერ საფარის დანდობისა? განშორებისას რომ აფრთხილებს –

„და დღეიდან ჩვენ ორს შუა,
მოციქული არის ტყვია“ –

თუ ეს შეხვედრა შედგა, მაშინ პრობლემა აღარ იქნება ის, „რაც ქვეყანას მიაჩნია რჯულზე უფრო უმტკიცესად?“...

სტუმარმასპინძლობის ადათი ბათუსა და საფარის იმდღევანდელ ურთიერთობაში არაფერ შუაშია?

მორდუობის ტრადიციასთან ერთად სტუმარმასპინძლობის ადათიც ხომ არ განსაზღვრავს ამ დროს ბათუს მოქმედებას?

თავიდან შეხვედრისას ფაცხაში მიდის სტუმარი მასპინძელთან, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაირკვა, ვინცაა სტუმარი, („საფარ, შენ ხარ?“...) ბათუსა და საფარის განშორებამდე საუბარი მიმდინარეობს **სტუმარსა** და **მასპინძელს** შორის...

თავზარდაცემული ბათუ მიდის საფართან:
„მაშინ მხოლოდ გამობრუნდა
***სტუმრისაკენ** და უთხრა ეს“...*

და გვამცნობს პოეტი, რომ მასპინძელი სტუმარს მოემსახურება, როგორც მასპინძლის წესია:

„გამოაწყო, არ დააკლო,
რაც წესია სამსახური,
*რომ **სტუმარი** არ გაუშვას*
გულნაკლი და უმადური“...

და მერე:
„მასპინძელმა შეაჩერა
ცხენი და ხმა აიმაღლა“...

აქ ერთ დეტალზეც ვამახვილებთ ყურადღებას: ბათუმ საფარს „შეუკაზმა ცხენი, შესვა, თვითონ შეჯდა ნაპარავზე“... აქ ორმაგი პასუხისმგებლობის თემა შეიძლება დაისვას: მდევრის დაწევის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ იქნებოდა ნაპარავზე მჯდომი და ბათუ აქაც თავს სწირავს (სტუმრისა თუ ძუძუმტისათვის)...

1898 წელს დაიწერა „გამზრდელი“. სტუმარმასპინძლობა ჩვენი ძველთაძველი ტრადიციაა, მაგრამ ეს თემა ქართულ მწერლობაში ვაჟა-ფშაველამ გააქტიურა. 1893 წელს გამოქვეყნდა ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“...

„დღეს სტუმარია ეს ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისაო“... –

გვახსოვს და ნიშანდობლივი პასაჟი:

„როცა გასცდება ჩემს ოჯახს,
იქ მოეპყარით ავადა“...

მოსისხლე მტერიც კი, თუ სტუმარია, არ შეიძლება გაიმეტო შენს სახლში... სტუმარი უნდა გაისტუმრო... შემდეგ შეხვედრისას აღარ იქნება სტუმარი და შეიძლება გაუსწორდე...

ძუძუმტე ყოველთვის ძუძუმტე იქნება... ეს წესი ძუძუმტეზე არ გავრცელდება...

შეურაცხყოფილი მასპინძელი ბათუ დამნაშავე საფარს სტუმარ-მასპინძლის პრინციპის გათვალისწინებით დაემშვიდობა და განშორდა... ასე, რომ გამომშვიდობებისას ნათქვამი – აღარ შემხვდე, თორემ სისხლს დავღვრიო, – უმადურ სტუმარს მიემართება ეს და არა ძუძუმტეს...

ჩვენი მსჯელობა იქეთ მიდის, რომ „გამზრდელის“ მხოლოდ ერთ საკითხზე დაყვანა (აღზრდის პრობლემა) არ უნდა იყოს მართებული. სტუმარმასპინძლობის თემაც ბათუსა და საფარის ურთიერთობაში არსებითია...

ბათუ ორმხრივი ვალდებულების წინაშე აღმოჩნდა: ერთი მხრივ, ძიძიშვილი დგას დამნაშავე ძუძუმტის წინ და, მეორე მხრივ, მასპინძელი – ოჯახის ღირსების შემლახველი სტუმრის წინაშე... ტრადიცია ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც თმენას ავალდებულებს მასპინძელ ძიძიშვილს...

ასევე ორგვარი დანაშაულის ჩამდენია საფარი: ერთი მხრივ, გატეხა მორდუობის ტრადიცია და, მეორე მხრივ, სტუმარმასპინძლობის წესი... ეს მის დანაშაულს უპატიებელს ხდის...

მაგრამ მომავალი შეხვედრისას მასპინძლის ვალდებულება მოიხსნება და ანგარიშსწორების საკითხიც დადგება... სტუმარმასპინძლობა უფრო მაღლა დგასო მორდუობაზე... ამას ამბობს ალბათ პოეტი...

აქ ერთი საინტერესო კითხვაც ჩნდება: როდის და რატომ უჩნდება მონანიების გრძნობა საფარს? დილით ბედნიერია, რომ „არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდეო“ და „ჩემს საქციელს სამარცხვინოს, ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავსო“... მაგრამ მერე? ან განშორებისას რომ მიმართავს ბათუს, „მომკალ... ტანჯულს რამ მიშველეო“, ანდა მკერდს რომ უშვერს გამზრდელის დამბაჩას? ფაქტია: ბათუს მიერ ჩატარებულმა იმ ზნეობრივმა გაკვეთილმა მასში ის ზნეობითი ნაპერწკალი გააღვივა, ჰაჯი უსუპმა რომ ჩათესა... ასე რომ, გამზრდელის ამაგს უკვალოდ არ ჩაუვლია...

და კიდევ ერთიც: ზოგჯერ ნაწარმოებში სხვა ხაზი ისე წამოიწევს წინ, რომ იმ მთავარ თემასაც კი ეტოქება, რისთვისაც იწერება ნაწარმოები. ასეა ამ შემთხვევაშიც...

ასე რომ, „გამზრდელი“ თითქოსდა მარტივი სიუჟეტის მქონე პოემა, არც ისე მარტივი ჩანს... როგორც რევაზ ინანიშვილი იტყოდა, „ეხება მრავალ საკითხს“...

სპარსეთის დედოფალი ელენე ჯაყელი – ქრისტეს სჯულის ბოლომდე ერთგული!

ქალბატონ ჯაყელი

ეს ისტორიული ამბავი ეხება სამცხის უკანასკნელი ათაბაგის მანუჩარ III ჯაყელის ერთადერთ მემკვიდრეს ელენე ჯაყელს, რომელიც მშობლების გარდაცვალებისას 3 წლის თუ იქნებოდა. ყველა ის განსაცდელი, რომელიც ელენეს თავს დაატყდა, აღიწერა მისი თანამედროვის, იტალიიდან საქართველოში ჩამოსული მისიონრის, მეცნიერისა და ეთნოგრაფის ქრისტეფორო დე კასტელის მიერ. თავად იტალიელი მისიონერი ელენე ჯაყელს ადრეული ბავშვობიდან იცნობდა, იყო მისი მესაიდუმლე, დამცველი, მკურნალი და მრჩეველი. საკუთარ წიგნში კასტელი ამბობს „პოსკავეთი ის ადგილია, სადაც შევხვდი ელენე ათაბაგს, რომელიც შემდეგ სპარსეთის დედოფალი გახდა. როდესაც ის სამეგრელოში იმყოფებოდა, მაშინ მე გურიიდან მივედი, როგორც მისი ექიმი, და ექვს წელზე მეტი ერთად ვიყავით“ (კრისტოფორო დე კასტელი, „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“, 1976 წელი). კასტელი განცვიფრებული იყო ელენე ჯაყელის სიმტკიცით, გონებითა და სილამაზით. როდესაც ელენე ათაბაგი ირანის დედოფალი გახდა, მან სპარსეთის კარი გაუხსნა ევროპელ მისიონრებს, მეცნიერებსა და მკვლევარებს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსა და სპარსეთში მოღვაწე ელენე ჯაყელი თავად იყო მეცნიერების, ხელოვნებისა და დასავლეთური კულტურის ხელშემწყობი, დამცველი და გამავრცელებელი მსოფლიოს ყველაზე რთულ დროს, უმძიმეს გარემოში.

სამეგრელოდან ირანში

1642 წელი იდგა, როდესაც სამეგრელოში, ლევან II დადიანის ბრძანებით, ელენე ათაბაგის ირანში წაბრძანებისათვის ამალის მომზადება დაიწყეს. სამეგრელოს წარჩინებულები დრტვინავდნენ უჩუმრად, ლევან დადიანის ყოველი ბრძანების წინააღმდეგ, მაგრამ ეხლა ოდიშელმა დარბაისლებმა თავები დახარეს და მათი მთავრის იდუმალი განაზრახი თითქოსდა შეიმეცნეს. სამეგრელოს სამთავროს დიდებულების გონებასა და განსაკუთრებით გულს, მთავრის ერთი განაცხადი მისწვდა:

„დამთავრდა დრო ხმლისა, დადგა დრო მოლაპარაკებებისა. ისინი, ვინც დღენიადაგ ხმალზე იყურებოდა, უკვე აღარ არიან. აღიგავა მათი სამეფოები და სამთავროები. აბა, კარგად დაუკვირდით, სადღაა დღეს მებრძოლი მეფე თეიმურაზ I და მისი სახლობა. არც არსად, სადღაა ათაბაგი მანუჩარ III და მისი სამცხე-საათაბაგო, არც აღარსად, გაქრა ისიც. სადაა მოურავბეგი სააკაძე, ისიც დავიწყებას მიეცა და ყველა მისი მომხრეც დამიწდა. დღეს დროა შეთანხმებისა. ამიტომაც, როცა სპარსეთის მბრძანებელმა შაჰ სეფემ მომწერა და მოითხოვა ჩემგან შემოხიზნული სამცხის ტახტის მემკვიდრე ელენე ჯაყელი, რა უნდა მექნა?! დავყაბულდი სპარსეთის შაჰს, რადგანაც მისი დახმარება მჭირდება ოსმალეთის შესაკავებლად. აბა ვის გაქვთ საწინააღმდეგო აზრი? “

გადახედეს ერთმანეთს მეგრელმა დიდებულებმა. პირველი სიტყვა აიღო თავადმა ფაღავამ – „სპარსეთს მიდის დედოფლად ჩვენი ღირსეული ელენე ათაბაგი, რომელმაც ძალზე შეგვაყვარა თავი, მაგრამ რა გაუძლებს ჩვენი ოჯახობის ოხვრასა და კვნესას, როცა მათი დობილი დასტოვებს ოდიშს?“ – ნახევრად ხუმრობით წარმოსთქვა ფაღავამ.

„თუ არ მეთანხმები, მაშინ საკუთარი ქალი გაუგზავნე შაჰ სეფეს ცოლად“ – მწარედ მიუგო ლევან დადიანმა ფაღავას, რაზედაც საპასუხოდ, თეთრწვერა თავადმა დუმილი არჩია და უკან დაიხია.

ვენეციურ სამოსში გამოწყობილმა თავადმა ჩიჩუამ, თავის მეტოქეს, თავად ქოჩაკიძეს გადახედა. თავადმა ჩიქოვანმა დადიანს მიაპყრო შუბივით გამჭოლი და რკინასავით ცივი მზერა, რამაც დადიანს უხერხულობა შეუქმნა და აფიქრებინა – „გველივით მიყურებს რაღაც, ეს ჩიქოვანი დღეს, რა მოხდა, აწყენინა ალბათ ჩემმა ჯაიანმა“. ამ გაფიქრებაზე დარბაზში სარდალი ჯაიანი შემოვიდა და ჩიქოვანს ამრეზით შეხედა. ჩიქოვანი უცებ წამოდგა და ხელი ხმლის ვადაზე დაიწყო.

ნუ მაშინებ ერთი, ჩიქოვანო, რაც წაიღეთ გენუელებისაგან, დააბრუნეთ დროზე. იცოდე, სანამ გადავრეულვარ, ონჯღორო ვაუჩქუნოთ სი? – თქვა ბაგრატ ჯაიანმა ჩიქოვანის გასაგონად და ამ უკასათვის, მაგრამ ქმედითი იმ დროისათვის.

ჩიქოვანების სათავადოს შესაძლო აკლებამ საგონებელში ჩააგდო ფაღავაც და ჩიჩუაც, მაგრამ გაახარა დგებუაძე და აღფრთოვანებისაგან ფეხზე წამოაგდო ჭვიტილურის ღვინით ნაქეიფარი თავადი ამირინდო აფაქიძე.

„ბაგრატ პატონი, ერთი შენ თქვი და მე განახებ ჩიქოვანთა აკლებას„– თქვა თავადმა აფაქიძემ და დგებუაძის გვერდით გადაჯდა.

„ეჰ, იყოფენ ჯერ დაუწიოკებელი ჩიქოვანების მამულებს ეს ჩემი თავადები, გიონს ჯოღორ თქვანი შენი„– ამოიოხრა ლევან დადიანმა და საბჭო დახურულად გამოაცხადა.

ელენე ჯაყელი. ნახ. კასტელისა

ნასკნელმა უეცრად დასტოვა მეგრელთა საბჭო.

რა ხდება სარდალო? – იკითხა გახარებულმა ლევან დადიანმა.

მეკობრეობენ, კიდო და კიდო, გენუელების გემი ამოუთრევიათ ნაპირზე, მოუკლავთ ორი იტალიელი, ერთი თურქი და დაუჭერიათ კაპიტანი, რომელიც გვალე ჯგირი კოჩი, ჩქიმი ჯიმალეფია და ეხლა უნდა ვაზღვევინო ჩიქოვანებს ეს ზარალი მთლიანად, თუ არ დააბრუნებენ ალაფს, გადავწვავ საჩიქოვანოს და მაგათ მონად გავყიდი ეთიოპიის ან სომალის სანაპიროზე – იყვირა აღგზნებულმა სარდალმა.

ვის რად უნდა, ბაგრატ სარდალო, ჩიქოვანი აფრიკაში. ხო დაეცა ვაჭრობა და აღივსო ყველა სიცრუით – თქვა თითქოსდა განრისხებულმა, მაგრამ სინამდვილეში გახარებულმა დადიანმა და დარბაზს ღიმილით გადახედა.

თავად დიდებულ ლიპარტიანთა შთამომავალი, ლევან დადიანი, გულუხვიც იყო, გონიერიც და მიუკერძოებელიც, მაგრამ ყველა მის ნიჭსა და შეძლებას, შინა აშლილობაში მყოფ მეგრელ დიდებულთა შორის ნაყოფი რომ ვერ გამოეღო, ამაზე დაღონებულმა მთავარმა, დიდებულთა განგებ ურთიერთწაკიდების გზა რომ არჩია წინამძღოლობის სხვა ფორმებს, ეს იყო თავად მიუღებელი ქვეყნის მომავლისათვის, მაგრამ ამ ეტაპზე ეს ასე.

***

უდროოდ დაღუპული მანუჩარ III ათაბაგის მემკვიდრე, ჭკუითა და გონებით გამორჩეული ელენე ათაბაგი 20 წლის გახლდათ, მის სილამაზეს შეჰხაროდნენ აზიის მონარქები და მბრძანებლები, რომლებიც პირდაპირ ითხოვდნენ სამცხის ათაბაგის ერთადერთი მემკვიდრის ხელს. თუ ადრე, მამა მშვენიერი ასულისა, კაცთა უმჯობესი ათაბაგი მანუჩარი ზაფრას გვრიდა მთელს კავკასიასა და მის გარშემო მდებარე ქვეყნებს, ეხლა ორივე მშობლისაგან დაობლებულ ელენეს დამცველი აღარავინ ჰყავდა. სამცხე- საათაბაგო ის ლუკმა იყო, რომლის ხელში ჩაგდება ყველას უნდოდა. ქართლის მეფეს და მეფეს კახეთისას ირანის შაჰი უკრძალავდა ათაბაგის ქალის შერთვას.

ბოლო რამდენიმე წელია, სპარსეთის იმპერიას დედოფლად უნდოდა ელენე ჯაყელი, შაჰი სეფი, ელჩობის გამოგზავნას აპირებდა, მაგრამ აფიქრებდა ოსმალეთის იმპერატორის განზრახვა, იგივე სურვილით დაეძრა სამცხისაკენ თავისი „სეფერ“-ი, ანუ მნიშვნელოვანი ელჩი და თუ საჭირო იქნებოდა, იმხანად განთქმული იანიჩართა კორპუსიც მიეყოლებინა საქართველოსაკენ მიმავალი ამბასადორისათვის.

***

ელენე ამ დროს თავის მამობილს და ერთადერთ ნუგეშს ქრისტოფორო დე კასტელს ასეთ წერილს სწერდა ოდიშიდან: „მამაო, ჩემო ნუგეშო და იმედო, სამი წლის ასაკიდან მოგიწია ჩემი აღზრდა და მეცნიერებებში დაუნჯება. ეხლა უკვე ოცი წლის ვარ და შენი სიბრძნე უფრო მეტად მჭირდება. ამიტომაც გთხოვ, არ მიმატოვო, ამ განსაცდელის ჟამს ჩემს გვერდით იყავი. იცოდე, რომ სამეგრელოს მთავარმა განაჩენი გამომიტანა. მე გამაგზავნიან სპარსეთს. ეს იქნება მამაჩემისა და დედაჩემის სულთა წინააღმდეგ დანაშაული. მე რომ მამა მყოლოდა, მე რომ ეხლა გმირ მანუჩარს ვუმშვენებდე გვერდს, მე რომ დედა მყოლოდა, ამ განაჩენს ვერც სპარსეთის შაჰი გამომიტანდა და ვერ მისი ყურმოჭრილი მონა – სამეგრელოს მთავარი ლევან! ამიტომაც, მამავ ჩემო, დონ კრისტოფორ, არ მიმატოვო! ჩემთან იყავი, სთხოვე პაპს, რომ ირანში, ჩემთან ერთად გამოგაგზავნოს. მე ყველანაირ პირობებს შეგიქმნი. ბოლოს და ბოლოს, მისიას გაგიხსნი ისპაჰანში და ჩვენ ორნი, ირანს თეატინელთა სამეცნიერო კერად ვაქცევთ. მამავ ჩემო, დროზე მინდა ჩამომისწროს შენმა გამამხნევებელმა წერილმა, თორემ დავიღუპე მე, შენი შვილი

ელენე ჯაყელი - ათაბაგი.“

***

ლოდინით გულამოვარდნილმა და მომავალი მგზავრობისათვის სულიერად გამხნევებას მილტოლვილმა ელენემ ხობის მონასტერში დაიდო ბინა, მოიცილა ყოველი ნიშანი ფუფუნებისა და მონაზვნების გვერდით მოისვენა. ხშირად იატაკზე ეძინა მას მონაზვნების მსგავსად, რადგანაც წინამძღვარს სთხოვდა, მისთვის 40 დღიანი მარხვის შემდეგ ღვთისმშობლის კვართის გულში ჩაკვრის ნება მიეცა.

„როდესაც კვართს გულში ჩავიკრავ, მე გავხდები სიდონია„– ჩურჩულებდა საბრალო ელენე და დღეში 40-ჯერ იმეორებდა მცხეთაში ჩამობრძანებული უფლის კვართის ამბავს – „ერუშალაიმიდან დაბრუნებულ ელიოზს თავისი და სიდონია შეეგება, რომელმაც გამოართვა უფლის კვართი, გულში ჩაიკრა და ტირილითა და გოდებით სული განუტევა“ – მეც ასე უნდა განვუტევო სული – არწმუნებდა თავის თავს ელენე. მაგრამ ლევან დადიანის მსტოვრებს არ ეძინათ.

– როგორაა ათაბაგის ქალი? – ჰკითხა ლევან დადიანმა ნოჯიხევის აზნაურ გაბუნიას.

– ჩამოხმა და ჩამოჭკნა, მარხულობს და მონასტრის ცივ ფილებზე სძინავს – გათქვა გაბუნიამ ელენეს ამბები.

განრისხდა ირანის შაჰით დაშინებული ლევან დადიანი, მოიხმო მეუღლე და ქალის მონასტრიდან სასახლეში გადმოყვანა უბრძანა.

დადიანის ბრძანება ასრულდა და ელენეს მამობილის წერილმა გორდის სასახლეში ჩამოუსწრო:

„პრინცესავ, გავიგე რომ მონასტრიდან სახლში წამოუყვანიხარ მთავრის ოჯახს. ჩემო შვილო, ყოველდღე ვლოცულობთ შენი გადარჩენისათვის. მინდა პაპს ვთხოვო, რომ შენთან ერთად ირანში გამომიშვას. იცოდე, ყველა განსაცდელი დაძლევადია, როცა მოვინდომებთ. შენ შეგიძლია ირანის დიდი დედოფალი იყო და შენი მდგომარეობა ხალხის კეთილდღეობისათვის და ქრისტეს სარწმუნოების გასავრცელებლად გამოიყენო.

შენი მამობილი დონ კრისტოფორო დე კასტელი“

***

საბოლოოდ ელენეს სპარსეთში გამგზავრების თარიღი გადაწყდა. ლევან დადიანმა 1200 კაციანი ლაშქარი გამოჰყო, სამეგრელოდან სამცხის მემკვიდრის თბილისში

→

ჩამოსაბრძანებლად. ელენეს ამალა 3000 ადამიანს აღწევდა. რადგანაც იმ დროს ქართლში, ირანის მიერ დასმული, როსტომ მეფე იჯდა, ყველა ზრუნვა ათაბაგის ქალის ისპაჰანში გასაგზავნად, ამ გამოცდილ და ვერაგ „ირანელს“ უნდა დაჰკისრებოდა.

„ბაგრატ სარდალო, თბილისამდე ისე ჩაიყვან ათაბაგის ქალს, რომ მას ნიავმაც კი არ უნდა დაუბეროს. შემდეგ ქართლის მეფეს როსტომს ვუთმობთ ელენესა და მის სადედოფლო მაყარს. ვნახოთ, აბა, როსტომ მეფე რითი გაგვაკვირვებს“ – უთხრა გახარებულმა ლევან დადიანმა ერთგულ სარდალ ჯაიანს და შემდეგ დასაპყრობად განწირული ქუთაისის ციხის გეგმას მოუტრიალდა: „აი აქ უნდა ვესროლოთ ფრანგული ზარბაზანი ქუთაისს, რომ სულ ამოვადგო მეფე იმერეთისა გიორგი, რომელსაც გოჭოურის ბრძოლაში სირცხვილი ერთხელ უკვე საკმაოდ ვაჭამე“ – უთხრა ლევან დადიანმა თავის მებრძოლებს და საიდუმლო ოთახიდან, უცხო აბრეშუმით და ატლასით შემკული ირანის ელჩი იუსუფ აღა მოიხმო.

გოჭოურის ომი 20 წლის წინ მოხდა, ჯიქთა ლაშქარი გამოვიყენე მაშინ ქუთაისის ასაღებად, მაგრამ ეხლა საქმე სხვანაირადაა. იმერთა მეფეს რუსთათვის მიუწერია წერილი და ტახტზე ასაყვანად გამზადებულ ალექსადრეს მოუწერია ხელი რუსთა ჩამოყვანის გეგმისათვის, ასევე ზარბაზნები შეუძენიათ მამა-შვილს. ეხლა მოღალატე პაატა წულუკიძეც კი ვერ დამეხმარება, როგორც ეს დიდი ხნის წინ მოხდა, ამიტომაც ირანს ვთხოვ, თოფიარაღს, ინგლისურ ბომბარდებს და, რაც მთავარია ფულს! – ბრძანა ლევან დადიანმა.

ათაბაგის ქალის ირანში გამოგზავნით გვიდასტურებ ერთგულებას, კოლხიდის დიდო მთავარო, არ ვიჩქაროთ და ყოველი მოგეთვლება ნელა-ნელა! ხელოვნურ წვერზე თითები ჩამოისვა იუსუფ აღამ და მეგრელ დიდებულებს ეჭვით გადახედა.

***

ქართველთათვის როსტომ მეფე, სპარსეთისათვის კი როსტომ ხანი, ქართლის უკანასკნელ ბაგრატიონად ითვლებოდა. სპარსეთის შაჰების კარზე აღზრდილმა როსტომმა, ბიუროკრატის თვალით უმალ შეაფასა მოვლენები, მიხვდა ირანის მომავალ დედოფალს ჯეროვნად უნდა დავხვდეო და სპარსეთს მიმავალი დედოფლის შესახვედრად ძღვენის შეგროვებას შეუდგა.

ყულარ აღასს, ანუ საკუთარი გვარდიის უფროსს უბრძანა მთელი ქართლი და კახეთი შემოევლო და თავადების ოჯახებისათვის ოქრო და თვალმარგალიტი „შეეწერა“. მალე უამრავმა ძველმა და უძველესმა განძეულმა იწყო მოდენა როსტომის ზარაფხანაში. ბევრს როსტომი თავისთვის დაიტოვებდა ამ განძთაგან, მაგრამ განსაკუთრებით გამორჩეულ შესამკობლებს, ინდოთა და ხვარაზმის მეფეთა, კეისართა და ხაკანთა – როსტომი ელენესთვის განკუთვნილ დიდ ზარდახშაში ათავსებდა.

ყულარ აღასმა და ქართლელ თავადთა საბჭომ, მეფე როსტომის ბრძანება მეტეხის სასახლეში მოისმინეს და ყურს ვერ დაუჯერეს:

ქალაქ გორში, 30 ზარბაზნიდან უნდა გავისროლოთ ძლევამოსილი ერანის სადედოფლოს დასახვედრად, გაიგეთ ყველამ და მოემზადენით, მორთეთ გორი, თბილისი და ხაშური. მორთეთ სასახლე. მაშხალებით გაანათეთ მეტეხი, მოიწვიეთ თარზე დამკვრელები და სხვა მომღერლები. ნაბრძანებია, ირანის დედოფალმა თბილისში უნდა გაიღიმოს და გაიცინოს კიდევაც! – ყვიროდა ქართლის თავადების კეხიანი ცხვირების შემყურე როსტომ ხანი.

***

პრინცესა სულ დღენიადაგ სახარებას კითხულობს და სწერს ლათინურად და ქართულად, ჯერ არ გაუცინია. საკმაოდ გულჩათხრობილია და ამაყი – ჩურჩულებდა სეფექალი გულქანი დარიკო ბარათაშვილთან და თინათინ ორბელიანთან, რომლებსაც ელენეს თბილისში გართობა ჰქონდათ დავალებული.

– იქნებ გვითხრა, რა უყვარს ირანის მომავალ დედოფალს? რა ნუგბარი, რა ამბავი, იქნებ ცხენოსნობა იტაცებს, მშვილდოსნობა ან, იქნებ, ცეკვა მოსწონს? – ეკითხებოდნენ გუქლანს თინათინი და დარიკო.

ძნელი სათქმელია, დონ კრისტოფორო კასტელის აღზრდილია ელენე ჯაყელი, ამიტომაც, როგორც მის მამობილს, მასაც უყვარს წიგნები, მეცნიერული სჯა-ბაასი, ხატვა, ქვეყნის მომავალზე საუბარი. იგი მოცეკვავე? არ მახსოვს, როდისმე ეცეკვოს. საკმაოდ გულჩათხრობილია. გულქანი ცდილობდა თბილისელ გოგონებს უფრო მეტად მიხმარებოდა რაიმე რჩევით და ამიტომაც თავის გონებაში ეძებდა იმ შესაძლო ქმედებას, რასაც ამალით მომავალი ელენე შეიძლება გაერთო.

– რატომაა ასეთი განსხვავებული? ჩვენ ყველანი ვცეკვავთ და ვმღერით.

ხანდახან ისარსაც ვისვრით. აი დარიკო, ხმალსაც იქნევს, თუ განრისხდა. მე კი ზარბაზნით სროლას ვსწავლომ მამაჩემისაგან – სიცილს ვერ იკავებდა თინათინ ორბელიანი.

– ამბობენ, ასეთი იმიტომაა, რომ სამცხიდან გამოსვლის დროს მამა და დედა ერთად დაღუპვია ელენე ათაბაგს. შემდეგ ბიძასთან, დასავლეთ საქართველოს კათალიკოს მალაქია გურიელის კარზე იზრდებოდა, დონ კრისტოფორო დე კასტელის რჩევა-დარიგებებით, რამდენჯერმე იყო ავად და იტალიელ კასტელს გადაურჩენია, შემდეგ ორჯერ დაუპირებიათ მისი მოტაცება მესხეთში გაბატონებულ ოსმალოებს. მაგრამ ორჯერვე იგი დონ კასტელს გადაურჩენია. შემდეგ ელენე სამეგრელოში, ლევან დადიანის კარზე განიცდიდა შეჭირვებულ ცხოვრებასო, – მითხრეს! – ყვებოდა გულქანი და მასთან მოსაუბრე თბილისელ გოგონებს თვალებში შეჰყურებდა.

დიახ, მართლაც რთული ცხოვრება ჰქონია საბრალოს, მაგრამ შაჰთან მიდის, სპარსეთის დედოფლად, წარმოგიდგენია, მის ბრძანებას დიდი ძალა ექნება, არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ოსმალეთისთვისაც. – ცრემლნარევი ღიმილით ყვებოდა დარიკო.

არ მინდა მე ასეთი დედოფლობა – ჩურჩულებდა შეშინებული გულქანი.

***

გორის ციხის 30-ვე ზარბაზანი ისე ქუხდა, რომ იქვე ხაშურში მდგარმა იანიჩარ აღამ, გორის მიმართულებით მარბიელი რაზმი გამოგზავნა. მარბიელმა ლეკებმა დიდი ქარავანი რომ დაინახეს, გაოგნებისაგან შედგნენ და ერთმანეთს გადახედეს. სამეფო ტანსაცმელში გამოწყობილ ამალას დაუკვიდრნენ, ფარჩითა და ატლასით შემკული მხედრები დალანდეს, თეთრკაბიანი ქალების დასანახად ნერწვის ჩაყლაპა მოასწრეს, მაგრამ იმავე წამს მათი მიმართულებით თქარათქურით მეგრელი ცხენოსნები შენიშნეს და თავიანთი სიცოტავიდან გამომდინარე, ცხენები სწრაფად მოატრიალეს.

შავჩოხიანმა მეგრელებმა ბორჯომის ხეობაში შეჭრილ, მტკვრის საგუშაგო კოშკამდე სდიეს ლეკებს და შემდეგ შეეშვნენ.

„კატებივით დავახრჩობდი მაგათ, ქართლში რომ არ მიმყავდეს ირანის დედოფალი“ – ამბობდა დიდ თეთრ ცხენზე ამხედრებული ბაგრატ ჯაიანი და საგუშაგო კოშკს მიღმა შემალულ ლეკებს მათრახს უქნევდა.

ჯერ გორში და შემდეგ თბილისში, განსაკუთრებული სიუხვით დახვდნენ ელენე ათაბაგს მეფე როსტომი, მისი ოჯახის ნევრები და დიდებულები. როსტომისეულ მეტეხის სასახლეში, ათაბაგის ასული ტახტზე დასვეს და ქართლ-კახეთში აგროვილი ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტის საუკეთესო ნიმუშები მის ფერხთით უხვად დააფინეს.

ელენეს არც კი შეუხედავს ოქროსა და თვალთმარგალიტისათვის, რამაც როსტომ მეფე გააგულისა, ამიტომაც ეხლა დარიკო ბარათაშვილმა და თინათინ ორბელიანმა საქმეში მუსიკოსები და პოეტები ჩართეს.

ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მსახიობების, მემუსიკეებისა და მოცეკვავეების მეჯლისი რამდენიმე ღამე არ დამთავრდა. სულ მალე როსტომ მეფემ ბრძანა სპარსეთის დედოფალს მოსვენება დასჭირდება, რადგანაც წინ დიდი გზა აქვსო და ყოველგვარი ღონისძიებები შეაჩერა.

ელენე ათაბაგი ბედნიერებით აღივსო, რადგანაც მას საშუალება მიეცა თავისი პატრი, დონ კრისტოფორო დე კასტელი გულში ჩაეკრა და მასთან ერთად დაეგეგმა მისი მომავალი ამბები.

***

თფილისიდან ამალით ისპაჰანში გამგზავრება გადაწყვეტილი საქმე იყო. ქართლის სამეფოს მაყრიონმა მეგრელთა მხედრობის ადგილი დაიკავა. სარდალი ბაგრატ ჯაიანი და დიდებულები უკანასკნელად შეხვდნენ ირანში სამგზავროდ გამზადებულ ელენეს და თავი მდაბლად დაუკრეს მას. ელენემ მისთვის ჩვეული გონივრულობით, დიდი მადლობა გამოუცხადა სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს და სამადლობელი წერილი დადიანის მიმართ, მისი ლამაზი კალიგრაფიით დაწერილი, მასთან გამოსამშვიდებლად მოსულ ხობის ტაძრის წინამძღვარს – ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს გადასცა.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, ბავშვობიდან მოყოლებული, იცნობდა სამცხიდან გურიასა და სამეგრელოში შეხიზნულ ათაბაგის ასულს. მათმა შეხვედრამ, როგორც წინამძღვარს, ელენეს სამომავლო კავშირების მთელი გეგმა დაუსახა.

ელენესთან გურიის წარმომადგენელი, შემოქმედის ეპისკოპოსი წარსდგა და აუდიენციაზე ელენეს მამამისის ნივთებით სავსე 3 ზანდუკი გადასცა. სამცხის ბეჭდებით დალუქული ზარდახშები ელენეს დარბაზში თორმეტმა ყმამ შეიტანა და მის წინ დააწყო.

რა უნდა იყოს ამ ზარდახშებში, მამაო იაკინთე? – გულის ფანცქალით ჰკითხა ეპისკოპოსს მამის ნივთებთან სიახლოვით აღელვებულმა ათაბაგის ასულმა.

ბატონიშვილო ელენე, თქვენ როდესაც სამცხიდან გურიაში მოგიყვანეს, 3 წლის იქნებოდით მხოლოდ, ამიტომაც მოვლენები, რომლებიც მაშინ განვითარდა, არც გემახსოვრებათ, – დაიწყო მოყოლა სიბრძნით განთქმულმა იაკინთე შემოქმედელმა.

– ყველაფერი მახსოვს, მეუფევ, – თქვა ელენემ და ენა მოიკვნიტა, საკუთარი უტაქტობის გამო.

დიახ, შესაძლოა, მაგრამ გურიის მთავარს, მამიას იმ დღეებში სამცხის ათაბაგის პირადი ნივთები და ასევე, სამთავროს ბეჭედი მოართვეს ახალციხიდან. ათაბაგის პირად ნივთებში იქნება მისი სამხედრო აღჭურვილება, დროშები და საველე ბეჭედი. რაც შეეხება სახელმწიფო სიმბოლოებში უნდა გქონდეთ ათაბაგის ალამი, ბუკი, კვერთხი და სამოსი. მოგეხსენებათ, თქვენი წინაპრები სარგის სამცხის ათაბაგის ზეობიდან მოყოლებული ამ ნივთებს განუყრელად ატარებდნენ, თავიანთი პოლიტიკური და სამხედრო საქმიანობის დროს. შესაბამისად, სამცხის სამთავროს არსებობის მთავარი ატრიბუტები, სამცხე -საათაბაგოს გარეთ, სწორედ ამ ნივთების სრულად განკარგვაში მდგომარეობს. თქვენ სრულუფლებიანი ათაბაგი გახდებით მას შემდეგ, რაც დევნილობაში მყოფი, აღიჭურვებით მამათქვენის სამხედრო და საერო ნივთებით, დაბრძანდებით ათაბაგთა ტახტზე და დოკუმენტებს ხელს მოაწერთ, როგორც სამცხის ათაბაგი და ხელწერას დაადასტურებთ სამთავროს მთავარი ბეჭდით ან საველე ბეჭდით. – დაასრულა სიტყვა შემოქმედელმა იაკინთემ.

ელენე წამოდგა და ზარდახშებთან ჩაფიქრებული სახით მივიდა. პირველ ზარდახშას სამცხე-საათაბაგოს ჰერალდიკური ნიშნები და სამთავროს გერბი ამშვენებდა, რატომღაც ამ ზარდახშას მამის, ათაბაგ მანუჩარ III-ის სუნი ასდიოდა. ელენემ გრძნობების მოჭარბება იგრძნო, თავი ვერ შეიკავა და ზარდახშის თავთან ჩაიკეცა.

სწორედ ამ დროს შემოვარდა ათაბაგის მისაღებ დარბაზში კრისტოფორო დე კასტელი, მან ელენეს მოსულიერება შესძლო და მიღება დაასრულა.

***

ასეთი მწარე გამოდგა წარსულის გახსენება ელენესათვის, რომელიც სპარსეთის დედოფლობის ნაცვლად იოცნებებდა მონაზვნობას რომელიმე მიყრუებულ ქვაბულში არსებულ მონასტერში.

მთელი ცხოვრება მისტიროდა იგი დაკარგულ მშობლებს. მამა და დედა საიდუმლო ვითარებაში რომ აღესრულნენ და, შესაძლოა, საწამლავის ზემოქმედებით დაიღუპნენ. ეს ამბავი ყველას პირზე ეკერა, მაგრამ ამის შესახებ გურიელისა თუ დიდი დადიანის კარზე, ყველას ჰქონდა აკრძალული, ელენესთან საუბარიც კი. ამიტომაც თბილისში მყოფმა ათაბაგის ასულმა დონ კროსტოფორო დე კასტელი მოიხმო და მასთან დაიწყო საუბარი იმ დროის შესახებ, როდესაც, საეჭვო ვითარებაში, დაიღუპნენ მანუჩარ ათაბაგი და მისი თანამეცხედრე გურიელი თამარ.

რა იცი ამის შესახებ, მამავ ჩემო! – ჰკითხა მაღალმა და ტანადმა ასულმა თეატინელ მოძღვარს და მისი წინ განთავსებული მუხის ხის სამ დიდ ზარდახშაზე მიუთითა.

როგორი გაზრდილი და დამშვენებული მეჩვენები, ჩემო დედოფალო. როგორი ვარდისფერი დაჰკრავს შენს სახეს, მიხარია რომ ჯანსაღსა და ძლიერს გხედავ – აღფრთოვანება ვერ დამალა დე კასტელმა ელენეს ცქერისას.

სამცხის ათაბაგის ასულს, მამის სიკვდილისა და დედის გარდაცვალების შესახებ, დღემდე ვერაფერი შემიტყვია, მამაო, ამიტომაც მინდა შენი დახმარება საჩქაროდ.

პატრებს ექნებათ ჩანაწერები, ჩემო დედოფალო, – უთხრა კასტელმა თავის აღზრდილს და ელენეს ცრემლიან თვალთა შემყურე, თავადაც მოერია ცრემლი.

(გაგრძელება იქნება)

ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი და კათოლიკობა

◀ დასაწყისი გვ. 1

Propaganda Fide...f. 403; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 275). დგება მორიგი კითხვა: რატომ გადავიდა ბარძიმი კათოლიკობაზე? ამის საფუძველს მამა-მისიონერი კრემონელი ბარძიმის პატრიოტულ სულისკვეთებაში ხედავდა. ის წერს: *„ძალიან ღვთისმოსავი და კეთილგონიერი ბარძიმი ახლა ხედავდა რა, თუ როგორ მოექცნენ სპარსელები საქართველოს და ასევე ითვალისწინებდა, როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში, სურდა არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ მთელი სამეფოსთვის მოეშორებინა უღირსი უღელი და ამოეძირკვა ხალხისაგან მთელი წამხდარი შეცდომები, ცრუმორწმუნეობა, ღალატი და ყველგან დაეფუძნებინა ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტი და ნამდვილი სარწმუნოება. ჩვენი პაპის სიწმინდის სიყვარულით, ის გვევედრებოდა (იცოდა რა თავისი მღვდლებისა და ეპისკოპოსების მცონარეობის შესახებ), მიგველო წმინდა ეკლესიის ჭეშმარიტ ძეთა რიცხვში, რაც დიდი ნუგეშითა და გულის აჩუყებით შევასრულეთ, რადგან ვხედავდით ასეთი ძლევამოსილი და ყველას შორის შიშის მომგვრელი მთავარი, თუ როგორ იმდაბლებდა თავს და გამოხატავდა, როგორც ჩვენდამი, ისე კათოლიკური ეკლესიის მიმართ სიყვარულს. მისი წმინდა გზნება მხოლოდ მიმართულია მუსლიმური სექტისა და ერესის სრულად ამოძირკვისაკენ“* (*Archivio di Propaganda Fide...f. 403; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ.* 275-276).

მოტანილი წყაროს თანახმად, ბარძიმის პატრიოტულმა სულისკვეთებამ, რომ დაეცვა *„ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტი და ნამდვილი სარწმუნოება“* (უნდა გავიგოთ მართლმადიდებელი სარწმუნოება) „მუსლიმური სექტისაგან“ (უნდა გავიგოთ ქართველთა გამუსლიმებისაგან), რის ამოძირკვაში ის ვერ დაეყრდნობოდა ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო დასს, მათი მცონარობის გამო, მიიყვანა კათოლიკობის აღიარებამდე და რომის პაპის სიყვარულამდე. ყოველივე ეს დაიყვანება თავისი შინაარსით ერთ წინადადებამდე ასე: ბარძიმმა კათოლიკობაში ნახა ჭეშმარიტი სულიერი ძალა და პაპობაში ძლიერი პოლიტიკური ინსტიტუტი. ამაზე დაყრდნობით იყო შესაძლებელი ბარძიმისათვის მუსლიმობის წინააღმდეგ ბრძოლა და მუსლიმური ერესის ამოძირკვა საქართველოში. ამგვარი დასკვნა სვამს კითხვას: ეს ნამდვილად ასეა? ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. ვერც იმას ვიტყვით, რომ წერილის ავტორი კათოლიკე მამა ყველაფერს გადაუჭარბებულად გადმოსცემს. ვერც იმას დავამტკიცებთ, რომ ბარძიმის მიერ კათოლიკობის აღიარება მხოლოდ პოლიტიკური მიზანით მოხდა და არა შინაგანი რწმენით. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ ბარძიმისათვის დაფარული ვერ იქნებოდა მასთან ახლოს მყოფი მაღალი ინტელექტუალების (მეფე გიორგი XI, თამაზ ყაფლანიშვილი, არქიეპისკოპოსი ექვთიმე რატიშვილი, ლევან ბატონიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვები) კათოლიკობისკენ მიდრეკა, მათზე მიბაძვით, შესაძლოა, მან მართლმადიდებლობასთან მიმართებაში კათოლიკობა ჭეშმარიტ სარწმუნოებად იწამა. ეს მართლა ასეც რომ იყოს, ბარძიმის მიერ კათოლოკობაზე გადასვლას პოლიტიკურ კონტექსტს ვერ მოვაშორებთ. პირობითად ეს ასე შეიძლება განვსაზღვროთ: ბარძიმმა შინაგანად ირწმუნა კათოლიკობა და შეეცადა მისი პოლიტიკური მიზნით გამოყენებას. ეს უკანასკნელი კი ვერ მიიღწევოდა რომის პაპის მიერ ბარძიმის კათოლიკე მესვეურთა რიგში მიღებისა და კურთხევის გარეშე.

აღნიშნული ხაზის გატარებას ემსახურებოდა ბარძიმის მიერ რომის პაპ **ინოკენტი XI**-სთან, ფარულად მის მიერ კათოლიკობის მიღებისთანავე, 1690 წლის პირველი იანვარის თარიღით ვრცელი წერილის გაგზავნა, რომელიც თითქმის პაპის, როგორც ქრისტიანული სამყაროს სულიერი მეთაურის, პანეგირიკს წარმოადგენს. ბარძიმისათვის რომის პონტიფექსი სრულიად ქრისტიანების შეურყეველი სვეტი და საფუძველია. აქვე ის გამოთქვამდა მზადყოფნას, რომ, რასაც პაპი უბრძანებდა, მას ქართლის სამეფოში (მისი სიტყვით, „ამ ჩვენ მხარეს„) დაუყოვნებლივ შეასრულებდა, რადგან ქართველები რომის პონტფიფექსის სამწყსოს წარმოადგენდა *(მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 282).* აქვე მართებულია ხაზი გაესვას, რომ წერილის შინაარსის მიხედვით, თუ იგი მართლა ბარძიმის დაწერილია, ის კარგ საღვთისმეტყველო ცოდნას ავლენს.

ახალი წყაროდან ირკვევა, რომ ფარულად (ეს ბუნებრივი მოვლენაა) კათოლიკობაზე გადასვლისთანავე ბარძიმმა, ვითარცა რეალური პოლიტიკური ძალის მქონემ, ენერგიულად დაიწყო მოქმედება კათოლიკე მამების დასაცავად. მრავალგზის იახსენები ჯულიო და კრემონა 1690 წლის 27 მარტს წერს: *„...ქართველი თავადი, ქალაქის (თბილისის-მ.პ.) აივან ბეგი (მდივანბეგი-მ.პ.), რომელიც ისეთი სიყვარულითა და გულითადობით გვეკიდება, რათა ჩაწვდეს ჩვენი წმინდა სარწმუნოების არსში, ვფიქრობ, რომ მალე მისი წყალობით შეიძლება განხორციელდეს უწმინდესი საიდუმლო და, საერთოდ, პაპის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანდნენ ამ ქალაქის (თბილისის-მ.პ.) სომეხი გრიგორიანები და მართლმადიდებლები“* (Archivio di Propaganda Fide...f. 403). უფრო მეტიც, თუ ვირწმუნებთ, ბარძიმმა დაურიდებლად, ღიად და დიდი გაბედულებით დაიცვა მამა-მისიონერები სომეხ გრიგორიან სასულიერო პირთა ერთ-ერთი ძლიერი შეტევისაგან, სავარაუდოდ, 1690 წლის მეორე ნახევარში *(მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 279).* საფიქრებელია, გრიგორიან სომეხ სასულიერო პირთა ანტიკათოლიკური გამოსვლა ხომ არ იყო განპირობებული კრემონელისვე ცნობის მიხედვით იმით, რომ ბარძიმის უნიატური მიზანი გაცხადდა? ამაზე ძნელია ზუსტი პასუხის გაცემა.

გორის ციხე. ნახ. კასტელისა

ბარძიმი, როგორც წყაროებიდან ირკვევა, მოუთმენლად ელოდა რომის პაპისაგან წერილს, ცხადია, სამოქმედო გზების ჩვენებით. *„აწ მოველით შენს სიტყვას და მივიღებთ თუ არა შენს ბრძანებას, მაშინვე აღვასრულებთ“* _ წერდა ის პაპს *(მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 283).* ეს უკანასკნელი კი აყოვნებდა. ვფიქრობთ, ამიტომ მისწერა მეორე წერილი 1690 წლის 20 ნოემბერს ბარძიმმა რომის პაპს. ამჯერად წერილი პაპის პანეგირიკს არ შეიცავს. შინაარსის მიხედვით იგი შეიძლება სამ ნაწილად გავყოთ: **პირველში** საუბარია იმაზე, თუ *„ჩვენის ეპისკოპოსების სიცრუით და უმეცრებით“* როგორ იმყოფებოდა სიბნელეში, ხოლო თბილისში მყოფი კათოლიკე მამების წყალობით, როგორ ეზიარა ჭეშმარიტებას და თავი დააღწია ცდომილებებს. **მეორე** ნაწილში კი ნათქვამის საფუძველზე ითხოვდა, რომ პაპს მიეღო ის კათოლიკური ეკლესიის წიაღში და პირობას დებდა: *„რასაც ინებებთ, ყველა აღვასრულო წმინდა კათოლიკე ეკლესიის ასამაღლებლად, იესო ქრისტეს პატივისათვის და თქვენს სამსახურებლად. მზად ვარ ამისათვის სისხლიც დავღვარო. კვალად თქვენს წმიდა და სამოციქულო საყდარს შევწირავ ჩემს თავს, ჩემს სახლობას და მთელს ჩემს ქვეშევრდომ ერსა“.* მესამე ნაწილს პირობითად შეიძლება დასკვნა ვუწოდოთ, რადგან ბარძიმი პაპის „წმინდა კურთხევისა და რჩევის“ შემდეგ შეუდგებოდა *„...სულითა და გულით წმინდა კათოლიკე ეკლესიის გავრცელებასა და გაძლიერებას...“,* რადგან *„...ახლა შეიქმნა იგი...“* მისთვის უსაყვარლესი დედა *(მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 283).*

რთულია ზუსტად ითქვას, რამდენად ისმის ამაში შინაგანი კათოლიკეს ხმა, თუმცა ხელაღებით უარყოფაც ძნელია. ახლა იხსნება ის პოლიტიკური კვანძი, რამაც დასაწყისში დასმულ კითხვას უნდა გასცეს პასუხი. მისი ხელახლა დასმა აუცილებელია: რა მიზნით მიიღო ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილმა კათოლიკური სარწმუნოება? ჩვენი ღრმა რწმენით, ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილმა, მეტი ალბათობით, ზემოდასახელებულ ქართველ ინტელექტუალთა მიბაძვითა და უმთავრესად კათოლიკე მამების ძალისხმევით ირწმუნა კათოლიკური სარწმუნოების უპირატესობა მართლმადიდებლობასთან შედარებით. ვფიქრობთ, ბარძიმის ასეთი ნაბიჯი არ უნდა ყოფილიყო უმთავრესად გამონვეული დოგმატების საფუძველზე, თუმცა მის მთლიანად გამორიცხვაც შეუძლებელია. ამ კონტექსტში ვუყურებთ რა ბარძიმის მიერ გადადგმულ სარწმუნოებრივ ნაბიჯს, იგი პოლიტიკური მიზანდასახულობის ამოცანაში ჯდება. საქმის არსი შემდეგშია:

როგორც აღინიშნა, 1688 წელს ქართლის სამეფოს ტახტის დაკარგვის შემდეგ გიორგი XI-ის იმერეთის სამეფოში გადასვლით კათოლიკე მამებს, რბილად რომ ვთქვათ, მოაკლდათ ერთგული მფარველი. ამ მხრივ კათოლიკობაზე გადასვლის (1689 წლის მიწურული) შემდეგ მეფის ადგილი დაიკავა ბარძიმ არაგვის ერისთვიშვილმა. ამან კათოლიკე მისიონერებს ქართლის სამეფოში გამეფებული ანარქიისა და სომეხ გრიგორიან სასულიერო პირებთან დაპირისპირების პირობებში დიდი შვება მოჰგვარა. ბარძიმის გაბედულმა და ენერგიულმა მოქმედებამ მამა-მისიონერებს აგრძნობინა, რომ ის გიორგი მეფეზე უფრო მეტად იცავდა მათ და სწორედ ამიტომ მონათლეს ის ნამდვილ მშვიდობის ანგელოზად *(მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ.. 278).* ჩვენ ამაში, ანუ კათოლიკე მამების მფარველობის საქმეში, გიორგი XI-სთან ბარძიმის, როგორც ამაყი პიროვნებისა, მეტოქეობის მიზანს ვხედავთ. კერძოდ, შეუძლებელია მას არ ეფიქრა, რომ მის ასეთ მონდომებას რომის პაპი ჯეროვნად დააფასებდა და კათოლიკური ეკლესიის წიაღში მიღებით ბარძიმი მყარი გარანტიას მიიღებდა გიორგი მეფისაგან მოსალოდნელი რეპრესიის შემთხვევაში. ეს მით უფრო, რომ სულ მალე (1691 წ.) გიორგი მეფე ქართლის სამეფოში გადმოვიდა და დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ტახტის დასაბრუნებლად.

ამ პოლიტიკურ ორომტრიალში საკმაოდ გარკვეული თბილისის მისიონის კათოლიკეთა პრეფექტი ჯულიო და კრემონა ყველა საშუალებას მიმართავდა, როგორც ცალკე ბარძიმთან, ასევე წმინდა ტახტთან, რომ შეერიგებინათ ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი და მეფე გიორგი XI. ყოველივე ამას უკეთ წყაროებიდან გავიგებთ. ჯულიო და კრემონა 1690 წლის 1 იანვრის წერილით კონგრეგაციის კარდინალს შემდეგს სთხოვდა: *„კარგი იქნება, თუ თქვენი ფრიად პატივცემული მამობა სთხოვს უმაღლეს პონტიფექსს (რომის პაპს-მ.პ.), რათა მან ჩვენს ლტოლვილ მეფეს (გიორგი XI-მ.პ.) ორიოდე სიტყვით მისწეროს: შეურიგდეს და გაერთიანდეს ის ამ მთავართან (ბარძიმთან-მ.პ), რათა მათ ყველამ ერთად მეტი ძალით მოკიდონ ხელი ამ წმინდა საქმეს (ეკლესიათა უნიის საქმეს-მ.პ.) და ჩვენი რჩევები, როგორც მათი შემცველებისა, საგანგებოდ მიიღონ“* (Archivio di Propaganda Fide...f. 403 v.).

ამ ერთი მიზნისკენ სვლა მამა ჯულიოს იმ საშუალებად მიაჩნდა, რომ იგი ადვილად მოუღებდა ბოლოს ყველა დაბრკოლებას, რაც ბარძიმსა და მეფეს შორის არსებობდა, რადგან ორივეს „... *დიდი პატივისცემა აქვს უზენაესი პონტიფექსის მიმართ და ყველა დაბრკოლება, რომელიც შეიძლება მოულოდნელად წარმოიშვას, აღმოიფხვრება“* (Archivio di Propaganda Fide...f. 404 r.). ირკვევა, რომ მეფესთან შერიგებაზე მამა ჯულიომ ბარძიმი დაიყოლია. *„აქამდე ჩვენი ძვირფასი ახლადმოქცეული* (*ბარძიმი-მ.პ.*), _ წერდა პროპაგანდის კარდინალს მამას ჯულიო, _ *„დიდ იმედს მაძლევს წმინდა გაერთიანების შესახებ ყოფილ მეფესთან თანხმობასა და მოლაპარაკებაზე. ასეთი შეთანხმება მოხდება, თუ ერთმანეთს დაარწმუნებენ ერთგულებაზე, რასაც საგანგებოდ ველოდები ბერძენი ეპისკოპოსის, ჩვენი გულმოდგინე კათოლიკეს, დახმარებით, რომელიც ამჟამად ახლადმოქცეულის (ბარძიმის-მ.პ.) მოძღვარი გახდა“* (Archivio di Propaganda Fide...f. 404 r.). ამ შერიგების შედეგი ამგვარ სურათს უხატავდა მამა-მისიონერ ჯულიოს, რომელიც წერს: *„დაე, ინებოს უფალმა დაგვიფაროს სიმშვიდეში, რომელშიც აქამდე ვიმყოფებით, რომ ეს ორი მთავარი შერიგდეს, რადგან მაშინ მათ ვამცნობ, რომ საქართველო ამდენი დაუდეგრობის, განსაცდელის, შიშების და დევნის შემდეგ წმიდა ეკლესიის მიწიერი სამოთხე გახდა, ვინაიდან როგორც ქართველები, ასევე სომხები არიან მეტად თავგამოდებული კათოლიკეები, ღვთისმოსავნი, მაგალითის მიმცემნი და უანგარონი უფლისადმი ჭეშმარიტი სიყვარულისათვის“* (*Archivio di Propaganda Fide...f. 404 r.).*

წმინდა ტახტმა, ცხადია, დაიცვა დიპლომატიური ეტიკეტი და ბარძიმისადმი წერილის გამოგზავნა არ იჩქარა. ეს იმიტომ, რომ პაპობისთვის მეფე იყო იმის გარანტი, რომ კათოლიკობას საქართველოში ჰყოლოდა ლეგიტიმური მფარველი, ვიდრე მეფესთან დაპირისპირებულ მეორე პირს ქვეყანაში. ეს ეტყობა, ბარძიმს საწყენად დაურჩა. ამასთან დაკავშირებით აი რას ვკითხულობთ ჯულიო და კრემონას 1692 წლის 10 მარტის *რელაციონში: „თვითონ ეს, ბუნებით კეთილი ბატონი (ბარძიმი-მ.პ.) არ ეჭვობდა, რომ ის უბრალოდ მოატყუეს (იგულისხმება რომიდან წერტილის გამოუგზავნელობა-მ.პ.)...“* (Archivio di Propaganda Fide...f. 417 r.). ამ შემთხვევაში ბარძიმის გოროზმა ბუნებამ, კადნიერებამ და სიამაყემ (ვახუშტი), ჩანს, ადგილი დაუთმო შემწყნარენლობას, რაც კათოლიკე მამას ბარძიმის კეთილ ბუნებად მოეჩვენა. მართალია ბარძიმი თავს მოტყუებულად მიიჩნევდა, მაგრამ *„...თავისი ბუნების გამო მისგან სიმპათია არ მოგვკვლებია. ყოველთვის გვიღებდა, როგორც საკუთარ ძმებს, განსაკუთრებულ ყურადღებას მოგვკვლებია. ყოველთვის გვიღებდა, როგორც საკუთარ ძმებს, განსაკუთრებულ ყურადღებას და პატივისცემას იჩენდა ჩვენდამი, გვეხმარებოდა და გვმფარველობდა სახელმწიფოში მღელვარების დროს, რომლის დროსაც ჩვენი გულისა და თავისი სარწმუნოების (უნდა გავიგოთ კათოლიკობის-მ.პ.) გამო ბევრი სიმდიდრე დაკარგა, აიმხედრა თითქმის მთელი საქართველო მასში მცხოვრები ეროვნებების ჩათვლით“* (Archivio di Propaganda Fide...f. 417 r.)- წერს ჯულიო და კრემონა. ეს წყარო კიდევ ერთ დასტურს გვაძლევს, რომ ბარძიმს კათოლიკობა მარტოოდენ პოლიტიკურ მიზნით არ მიუღია.

როგორც ვიცით, 1691 წელს გიორგი მეფის ქართლში გადმოსვლის შემდეგ, ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი მის მხარეზე გადავიდა. მეფემაც, ჩანს, დაივიწყა ადრეული წყენა და ბარძიმს შეურიგდა. უფრო მეტიც, ბარძიმმა გიორგი მეფის დავალებით ორ სამხედრო ექსპედიციაშიც მიიღო მონაწილეობა. აკი ამის მსხვერპლი გახდა კიდეც 1692 წელს, როცა მეფის ლაშქარს ხელმძღვანელობდა კახეთში, რათა ეს ორი სამეფო გაეერთიანებინა *(მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, გვ.180).*

დაბოლოს: ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილის მიერ კათოლიკობაზე გადასვლა არ იყო გამოწვეული მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოტივით, თუმცა გიორგი მეფესთან მისი დაპირისპირების პროცესში მან ეს არსი შეიძინა. ბარძიმი, ერთი მხრივ, რომის პაპის მხარდაჭერით ცდილობდა გიორგი მეფის წინაშე უცილობელ ავტორიტეტად ქცეულიყო და, მეორე მხრივ, ესწრაფვოდა კათოლოკობას გზა გაეკვალა მეფესთან შერიგებისაკენ. ამაში ბარძიმი წმინდა ტახტის სახით, სრულიად მართებულად, გულწრფელ და მხურვალე მოსაშუალეს ხედავდა. ეს იმის გარანტიასაც იძლეოდა, რომ მეფე გიორგის მიერ ტახტის დაბრუნების შემთხვევაში ბარძიმს თავისი პოლიტიკური წონა და ავტორიტეტი შეენარჩუნებინა.

იუბილე

ქალაქ ახალციხეში მცხოვრებ, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებას, კულტურის დამსახურებულ ადამიანს, ახალციხის სახელმწიფო თეატრის ადმინისტრატორს შალვა ტაბატაძეს ახლახან დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ქართული კულტურის განვითარების საქმეს შეალია. ვინც კი იცნობს ბატონ შალვას, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ თითქმის არ ჩატარებულა ახალციხეში არც ერთი ლიტერატურული თუ კულტურული ღონისძიება, რომ მას აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს.

იგი წლებია უანგაროდ გვერდში უდგას ჩვენს გაზეთსაც, ხოლო მისი ხელშეწყობით დიდი ხანია ეს გაზეთი გორის მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ინტელიგენციასთან ურთიერთთანამშრომლობის საიმედო ხიდად იქცა.

აღსანიშნავია, რომ შალვა ტაბატაძე პოეზიითაც არის გატაცებული. ჩვენს ერთგულ მკითხველს აქვე ვთავაზობთ მის ორ ლექსს, რომელიც, როგორც თავად ამბობს, სიჭაბუკის წლებში აქვს დაწერილი.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს ჩვენს ერთგულ მეგობარს საიუბილეო თარიღს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და ხანგრძლივ მოღვაწეობას მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში.

შალვა ტაბატაძე

ჭადარი

საუკუნეა, ამაყად რომ დგას
და სიხარულით ხვდება განთიადს,
ბებერი ჭადრის ბებერ ტოტებში
ახალგაზრდული სული ანთია.

ჭადარი არის ახალგაზრდების
დამრიგებელი, სულის ნუგეში,
ის ცოცხალია მარად და მარად,
მეგობარივით ზის მათ გულებში.

მაგრამ როდესაც ესმის შრიალში
ვაჟი გულისსწორს ფიქრს როგორ ანდობს,
ნაზად იხრება ჩვენი ჭადარი, –
გოგოსთან ერთად თანხმობას ამბობს.

და ამით ქვეყნად სიკეთეს თესავს, –
ეს მერამდენედ სიყვარულს უმღერს,
წავა ქალ-ვაჟი და ახალ წყვილსაც
გულწრფელი ლოცვით შორიდან უმზერს.

... გავიდა დრო და დაჭკნა ჭადარი,
ამიერიდან აღარას ელის,
თურმე ერთ-ერთი წყვილის ღალატმა
უცებ მოჰფინა ყვითელი ფერი.

მას აქეთ არის ჩვენი ჭადარი
არ ეგებება ნათელ განთიადს,
მის უსიცოცხლო და კეთილ გულში
ნაპერწკალიც კი აღარ ანთია...

ფიქრს როგორ უნდა ვუთხრა უარი...

ქვეყნად უსაზღვრო ფიქრი ხომ არის,
ფიქრი უბიწო, ფიქრი მომავლის,
მას როგორ უნდა უთხრა უარი,
ისიც მომავლის ფიქრი თუ არის?

ო, ფიქრო ჩემო, ჩემთან იარე,
თუკი დავეცე, შენ მომიარე,
დაუსრულებლად ვფიქრობ და ვფიქრობ,
და დარდებს მაინც ფიქრებით ვიქრობ.

ფიქრი უსაზღვრო, ყველაფერს იტევს,
ფიქრის დარაბა ვერ იტანს კლიტეს,
ფიქრს როგორ უნდა ვუთხრა უარი,
ვფიქრობ მართალი, ვფიქრობ მტყუანი.

ვფიქრობ და ვფიქრობ,
ო, რამდენს ვფიქრობ...

„ლოცვით, არ დაიკარგეში!“

***

რა ვართ ეს ბაშარულები
სათქმელსა ვუბნობთ
ლექსადა,
სამშობლოს სიყვარული
გვაქვს
ქცეული კანონ-წესადა.
ბაშარას ჯიში, ჯილაგი
გადავფანტულვართ
ქვეყნადა...
ბაშართის უნახავობა
გულს მაწევს დარდად,
სევდადა.

***

ანათებ, ვით მზე ცაზე,
თვალს ვერ გისწორებ, ვერა,
გადაგიდგები გზაზე,
უნდა მოგტაცო მზერა.
სინაზეს გამჩნევ მთვარის,
ღიმილით ჰგავხარ სოსანს,
შენ შემიჩერე წამი,
რეტი დამასხი მგოსანს.
მიწა თეთრ ნაბადს იხსნის,
შენ და მზე ათბობთ არეს,
უკუნეთშიც რომ ვიყო
გამინათებდი ღამეს.
გადაგიდგები გზაზე,
მაინც მოგტაცებ მზერას,
დავალ მხოლოდ შენს
კვალზე,
შენგან მოველი შველას.

***

არაგვის ხეობელი ვარ,
თუმცა ქსანზედ მაქვს ფესვები,
ბაშართიდან ვარ მოსული
არ დამელევა ლექსები.
ჩემია ქსანიც, არაგვიც
ორივე მბორგავ, მჩქეფარი,
მთიულური მაქვს გუნება,
ხმაც მთიულური მჭექარი.
გადასული ვარ მესხეთში,
ქვაბლიანი მაქვს არაგვად,
მესხური მასპინძელობა
გულს ჩამბეჭდვია არაკად.
აქ ქვაბლიანი არაგვობს,
მთა და ტყე აქაც ბევრია,
მთიულეთი და მესხეთი
მშობლიურია, ჩემია.

***

ქალავ წამკიდე გულს
ცეცხლი,
აღმა და დაღმა მატარებ,
მე ჩემი ჭკუის კაცი ვარ,
ნურავის ნუ შემადარებ.

გულს ჩახვეული
დარდი მაქვს,
ვერ ვეუბნები ვერასა,
მე ჩემებური კაცი ვარ,
ვერ ვემსგავსები ყველასა.

თუ რამ ტკივილი მქონია,
არ მითქვამს, გულში
ვიმარხავ,
მე შენს ღიმილებს დავეძებ,
ვკრეფ, მათ და გულში
ვინახავ.

შენ რომ გირჩიე
ტოლ-სწორად,
განა, რომ შემთხვევითია,
გახსოვს, იმ მონადირის და
ქალღმერთი დალის მითია?

აგრე შემემთხვა, მეც
დავალ,
მას მერე შენსა ძებნადა,
ეგ შენი გულის კარიბჭე
გავხსნა და ვიყოთ ერთადა.

რად მებუტები ხანადა,
სახეზე გშვენის ღიმილებ,
მე არვის არ ვემსგავსები,
ასეთად თუკი მიმიღებ.

მაშინ მზე ლაჟვარდ ცაზედა
ამოვა, ამოანათებს,
შენად ვწერ ახლა ამ ლექსსა
და სიყვარულის ბარათებს.

***

ცოდვით გაივსო ქვეყანა,
ვიცი, დაგლალეთ უფალო,
ერთი თხოვნა მაქვს მამაო
გულწრფელი გულით,
უბრალო.

შენი განგება უსაზღვრო
განუზომელად დიდია,
შეგვინდე შეცოდებანი,
სულები ბეწვზე ჰკიდია.

განსაცდელს ვცდილობთ
გავუძლოთ,
თუმცა ცდუნება დიდია,
შეგვინდე შეცოდებანი,
სულები ბეწვზე ჰკიდია.

აგვინთე გულში სანთელი
წმინდა, უბრალო დიდია,
შეგვინდე შეცოდებანი,
სულები ბეწვზე ჰკიდია.

გვესაუბრები, არ გისმენთ,
ეშმას ცდუნება დიდია,
შეგვინდე შეცოდებანი,
სულები ბეწვზე ჰკიდია.

ამ განსაცდელის ჟამშიაც
სატანის გზაზე მიდიან,
შეგვინდე შეცოდებანი,
სულები ბეწვზე ჰკიდია.

ავხორცი შემოგვეჩვია,
გულღრძო და ერთბ
ფლიდია,
შეგვინდე შეცოდებანი,
სულები ბეწვზე ჰკიდია.

უფალო, ღმერთო იესო
შენი განგება დიდია,
გვიტევე ჩვენი ცოდვები,
სულები ბეწვზე ჰკიდია.

ავტორ-მთქმელი
ბექა ბაშარული, 35 წლის, დ. ადიგენი

დემოგრაფიული რეალიები ქსნის ხეობიდან

◀ დასაწყისი გვ. 5

რანთ გაბრიელას შვილი;

წირქოლში – *თათარიანთ ნიკოლას შვილი, ქუტანთ ოთარას შვილი, ქუტანთ ბასილას შვილი, ითანთ შიოს შვილი, წაბლიანთ თამაზას შვილი, ბასიკანთ მგლის შვილი, ძელყორანთ პატარაკაცის შვილი* და სხვა.

„აღწერებში“ დიდი ადგილი უჭირავს კუთვნილება-წარმომავლობის გვარებს **-ურ** ფორმანტით. დისიმილაციით **-ულ** დაბოლოებით:

ცხავატში – *ბუნტური გოგის შვილი, ბუნტური ბასილას შვილი, ბუნტური ესტატეს შვილი, ბუნტური ბერის შვილი.*

ალევში – *სისოური წითურის შვილი, სისოური თანდილას შვილი, ქიტური ბასილას შვილი.*

ნახიდში – ფსუტური მამაგულას შვილი, ფსუტური ოთარას შვილი, ფსუტური დათუნას შვილი, ჯაბაური გიორგის შვილი.

-ულ სუფიქსით ნაწარმოები:

წირქოლში: *ხრიკული ოთისის შვილი, ხრიკული მჭედლის შვილი, ბაშარული ელისბარას შვილი, ბაშარული რამაზას შვილი;*

ცხავატში – *ჟურული გივი და ბალია, ჟურული ივანე და ბალია.*

საძეგურში – წითურაული ქიტესა და აბრამ, წითურაული პეტრე და მახარე, წითურაული სანაგი.

დაბაკნეთში: *ბაშარული ელისბარ და ღვთისია, ბაშარული სიხარული, ბაშარული შერმაზან და გოდერძი, ბაშარული ნადირა და თევდორე.*

„აღწერებში“ დიდი რაოდენობით არიან დაფიქსირებულები და ისინი ათეულობით არიან წარმოდგენილნი, მაგალითად – **სოფელ ლარგვისში** მისულები არიან *თეზიდან,* ფრონეს ხეობის სოფელ **თიღვიდან** ვინმე *ბასანიძე გაბრიელა,* **იმერეთიდან** – *ვინმე იობი,* **საძეგურიდან** – *ვინმე ნავროზაანთ ქიტესა* და სხვა. ახალგორში უფრო მეტი ბოგანოები იყვნენ განსახლებულები, *მაგალითად: ფარჩუკასშვილი დათუნა, ხარებასშვილი ოთარა, ზაზუასშვილი ბერია, ტიტველაშვილი ღვთისავარ, ჩიტისშვილი როსტომა, ხუცისშვილი ხახანა, კუბათასშვილი ნინია, ძურძუკი ნინია, ვარდუასშვილი ზურაბა, ვარდუასშვილი ოქრუა* და მრავალი სხვა.[6]

წარმომავლობის სახელთა საწარმოებლად ქართულში გამოიყოფა რამდენიმე სუფიქსი, ამჟამად კი შევჩერდებით“ აღწრებში“**-ელ** სუფიქსის ნაწარმოებზე. მასალებში გვხვდება აღნიშნული სუფიქსით ნაწარმოები ანთროპონიმები, რომლებიც ძირითადად აღნიშნავენ ვინ კლასის სადაურობას. -ელ სუფიქსს აქვს პოტენციის ქსნურ მეტყველებაში წარმომავლობის მაწარმოებელი. მაგალითად, სოფელ **იკოთში:** კათალიკოსის ყმა *გრდანელი ხიზანა, ირტოზელი მაჩხიძე, წვერველი ბეჟანა, წრიელი ზურაბა, ნიაურელი გიორგი.* **ახალგორში:** *გარეთუბნელი გურგენა,* **ძეგველი** – უმეკაშვილი, **ლორელი** – ასლამაზა, **წოფელი** – *ახვერდა* და სხვ.

როგორც ხსენებული „აღწერებიდან“ ჩანს, ქსნის ხეობის ანთროპონიმები (გვარები) შედგება როგორც ადგილობრივი ძველი გვარებისაგან, ისე მიგრირებულთაგან. ხეობაში მოსულები არიან როგორც მთის, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. ზემოხსენებული სოციალური მოვლენის გარდა, ასევე დამახასიათებელია ხიზნის კატეგორიის მოსახლეობა, რომელიც ხეობის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში იყო განფენილი.[7] როგორც სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“ აღნიშნავს, გვიანფეოდალურ ხანაში, ძნელბედობისას, ჩვენში აღნიშნული ტერმინი „ლტოლვილი“ არსებობდა, როცა ორი დიდი იმპერია – თურქეთი და ირანი საქართველოზე მძლავრობდნენ, მაგალითად, სოფელ წირქოლში:

ხიზანი კათალიკოსის ყმა მაისურაძე,
ხიზანი მუხრანბატონის ყმა ბერი;
ხიზანი მდივნის გორჯასპოის ყმა.
იკოთში:
ხიზანი ბურდულის ყმა;
ხიზანი ბეენას ყმა;
ხიზანი რატიშვილის ყმა;
ხიზანი არაგვის ერისთავის ყმა.

ნიკოლოზ ოთინაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

6 სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული I, ბოგანო - უაგარაკო გლეხი, აგარაკ მცირე გლეხი, 1991, გვ. 107.

7 სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ხიზანი - ლტოლვილი, 1993, გვ. 423.

საათნავა და მისი თანამედროვე მელექსეები

1853 წელს ერთმა სომეხმა გამოსცა სომხურად მოსკოვში მესაზანდრე საათნავას ლექსთა კრება. ამ გამოცემაშივე ჩაურთავს საათნავას მოკლე ბიოგრაფია.

რადგანაც საათანავა საქართველოში, თბილისში ცხოვრობდა და ქართულს ლექსებსა და ბაიათებს სწერდა და ბევრი იმის ნათქვამი ახლაც ახსოვს ჩვენში ხალხს, ამის გამო ურიგო არ იქნება, რომ გავიცნოთ იგი. ამას გარდა საათნავას გაცნობა მით უფრო საინტერესოა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე იმას გაუტარებია საქართველოს წარჩინებულ პირებთან, სხვათა შორის, მეფე ირაკლი მეორესთან დაახლოებული კავშირი ჰქონია.

ჩვენ ვიხელმძღვანელეთ ამ წიგნიდამ და დაუმატეთ რამდენიმე ზეპირ-სიტყვაობით გადმოცემული ჩვენი მოხუცებულებისაგან საათანავას ცხოვრების შესახებ.

სომხები ქართულ მწერლობას მეთვრამეტე საუკუნეში ორად ჰყოფენ: ვახტანგის დროს და მის თანამედროვე მწერლობას 1708 წლიდგან ვიდრე 1726 წლამდე და მეორე 1757 წლიდამ ვიდრე 1795 წლამდე, ესე იგი, როდესაც ჩვენში საათნავა და იმის თანამედროვე მოლექსეები ასპარეზზე გამოსულან.

ეს მელექსეები არიან: პირველი საათნავა, მეორე ბუდაღ-ოღლანი, რომელმაც დასწერა „ანბანთ ქება“, „მზეო, შენ მნათობოვ“ და სხვა მრავალი ლექსები; მესამე სტეფანე ფერშანგიშვილი, რომელსაც, სხვათა შორის, დაუწერია „განიფხიზლე, გონებავ!“ და „მიკვირს აგრე რად გამწირა სოფელმა!“ მეოთხე გასპარ ხოსრევი, რომელსაც დაუწერია „შეველ წალკოტს და მზე ვნახე შემოსილი“, „მთვარევ, შუქი გფენია“; მეხუთე ლაზამ-ოღლანი, რომელსაც, სხვათა შორის, დაუწერია „ვარდმან გამწირა მონებით“ და სხვა.

ამავე დროს გამოსულან სალიტერატურო ასპარეზზე სხვანაირი მწერლები, რომელთაც გაუმშვენებიათ ქართული მწერლობა თავიანთ მშვენიერის ლექსებითა: ზაქარია გაბაშვილი, ყველასაგან ცნობილი და დამსახურებული საქართველოს მეფეების წინაშე. ეს გაბაშვილი იყო დეკანოზი სიონის სობოროსი, განაძევს თბილისიდამ და მას შემდეგ წოდებულ იქმნა ბესარიონად და ხალხმა უწოდა ბესიკი; მისი შესანიშნავი პოეტიური ლექსები დღესაც იხილვებიან; პეტრე ვით დეკანოზის ძე ლარაძე, რომელიც ბესარიონ გაბაშვილის თანამდროვე ყოფილა და შინ მმართველი ანტონ კათალიკოზისა. ეს პეტრე ლარაძე რუსეთშიც ყოფილა; იმას სხვათა შორის დაუწერია „დროცვლილო ბულბულო“, „სევდამ მოიცვა გული“ და სხვ. იოანე მროველი, ბერი მროველ მთის მონასტრისა, რომელსაც დაუწერია სხვათა შორის „შეყრილან ერთად მკრთოლვარენი,“ „გამტყორცნა სოფელმა“, „ვიხილე ტურფა კვიპაროზი“ და სხვ. სოლომონ მდივანბეგი, რომელსაც მშვენივრად უწერია; იმის ზოგიერთ ლექსმა ჩვენამდენაც მოაღწია; დავით რეკტორი, ცუკია, თელავის სემინარიის რეკტორი. ამათ გარდა ბეგლარ ორბელიანი, ბარათოვი, ყარიბი, თ. ქობულოვი, თეკლე ბატონიშვილი, ქეთევან ბატონიშვილი, დიმიტრი ბაგრატიონი, რომელმაც „ქეთევან დედოფლის წამება“ დაწერა და დაიბეჭდა მოსკოვს 1818-ს, გოდერძი ფირალოვი – მდივანი მეფე ერეკლესი, რომელმაც დასწერა მშვენიერი ლექსები და გლოვა ირაკლი მეორესი; ამავე რუსეთში მყოფობის დროს, გამოსცა ლექსიკონი ქართული და რუსული და ქართული გრამმატიკა.

ასე ამ გვარად მელექსეების რიცხვი თან-და-თან ემატებოდა, ვიდრემდის

საათნავა ცოცხალი ყოფილა.

საათნავას დროს სცოდნიათ ლექსების წერაში თუ ვინ უფრო უკეთეს დასწერავსო; მაგრამ ყველაზედ უკეთესი ლექსები ბესარიონ გაბაშვილისა – ბესიკისა ყოფილა, ბერის იოანე მროვლისა, გამოგდებულის მღვდელის ყარიბისა, პეტრე ლარაძესი, საათნავასი და ბუდაღ-ოღლანიდსა, რომელიც თფილისის დარიის მონასტერში გაზრდილა ქართველ ბერებთან, მაგრამ ბოლოს მოლექსეობისთვის ბერებს გამოუგდიათ იქიდამ.

ამათ გარდა საათნავას დროს ჩვენში სხვა მელექსეებიც გამოჩენილან მის მიბაძვით: გარსევან ყორღანოვი, მელქოა ზანგიანშვილი, ქიჩიკნოვა, ღარიბაშვილი ნიკოლოზი და ოქროაშვილი იოანე და სხვა მრავალი, რომლებსაც ქართული ლექსები უწერიათ; ზოგიერთ ამათ ლექსებთაგან დღესაც მღერის ჩვენი ხალხი.

საათნავას დაუწერია ას თოთხმეტი თათრული ლექსი, რომლებსაც დღესაც მთელი კავკასიის თათრები მღერიან და ორმოც-და-ოთხი სომხური, რომელიც ათას რვაას ორმოც და თორმეტში მოსკოვში დაიბეჭდა.

საათნავა ყოფილა ერთი თფილისელი ნალბანდის შვილი; მამას დარიის მონასტერში მიუცია ის წიგნის სასწავლებლად და იმავე დროს დურგლობაც უსწავლია. იმას მაშინვე ჰქონია ლექსების წერის ნიჭი და ძალიან კარგი ხმაც.

შემდეგ ბერებისაგან გამოსულა და ფრანგების პატრებთან მისულა ექიმობის სასწავლებლად; ამავე დროს მესაზანდრობაც უსწავლია. მესაზანდრობისა და ექიმობის გამო კარგად გაუცვნია იგი ხალხს და იმავე დროს დაუწყვია ლექსების წერაცა.

ამ დროს დაუწერია სააათნავას ერთი ლექსი შესახებ საქართველოს ბატონყმობისა, რომელიც მთელ საქართველოში მოფენილია; ამ ლექსის დაწერისთვის ზოგიერთ თავადის შვილებს მეფე ერეკლესთან უჩივლიათ, რომ საათნავას ლექსების წერა დაუშალეთო. მაგრამ მეფე ერეკლეს ხმაც არ გაუცია საათნავასთვის.

ერთხელ მეფეს სპარსეთის ყეენისაგან შიკრიკი მოსვლია, სპარსეთიდამ ყეენი წამოსვლას აპირებსო და შენც მოემზადე საომრადაო. ამ ამბავზე მეფე ძალიან დაღონებულა. ამბობენ, ეს დაღონება რომ საათნავას შეუტყვია, მაშინათვე ამდგარა და წასულა მეფესთან. შესულა თუ არა სასახლის კარებში, დაუკრამს სალამური და დაუმღერია შემდეგი ლექსი, რომელშიაც ალეგორიით გამოუხატამს მეფე ერეკლე (მტკვარი) ნაღვლიანის სახით და მისი მოსამზღვარე სპარსეთის მდ. არაზა (არაქსი).

მტკვარო ამღვრეულო, არაზიანო!
მე შენ ვერ გაგიძლებ, მიზეზიანო,
დიბის ლობდანო გაზაზიანო,
სირმა-აბრეშუმო ყაზაზიანო;
ხმლითა და ხანჯლით ლამაზიანო,
მე რა მაბადია, რა მაზიანო?
მოდი, მიამბე, ბაღდადის წერო!

*

ინდოეთის თუთივით იმღერო,
რა იქნება ერთხელ მეც დამიჯერო,
ფაჰრდის ბებერო, შირინის მტერო,
შე ავო მიჯნურო, არაზიანო!
მტკვარო ამღვრეულო არაზიანო,
ვაი თუ ერთ რიგი ნარდი გასწიო
მარდი მოჰკალ, ნამარდი გასწიო!

*

ბულბული ატირო, ვარდი გასწიო,
ნეტავ რომელი დარდი გასწიო,
ბეჩავ საწყალო თავაზიანო,
მტკვარო ამღვრეულო არაზიანო!

საათნავას ცოლი შეურთავს, ერთი ჰავლაბრელი ქალი მარიამი, სამი შვილი ჰყოლია და შემდეგ ცოლი მოჰკვდომია.

ცოლის სიკვდილის შემდეგ ახპატის მონასტერში ბერათ შესულა. მეფე ერეკლე თურმე ძალიან უშლიდა ბერობას, მაგრამ იმას მაინც არ დაუშლია და შესულა.

მონასტერში ბერები თურმე ძალიან ეჩხუბებოდნენ: ლექსების წერას თავი დაანებეო, შენი საქმე არ არის, ხელი აიღევო. მარამ იმას არ დაუშლია და ისევ ბერობა დაუტოვებია და წამოსულა ქალაქში, მაგრამ რადგან მეფე ერეკლე იმაზე გამწყრალი ყოფილა, მისვლა ვერ გაუბედვნია.

აი ამ დროს დაუწერია იმას თავის თავზე შემდეგი ლექსი:

შე საწყალო, ჩემო თავო, რა იქენ,
ქვეყანაში სასაცილო შეიქენ,
საითაც წაველ, იქითკენ წავიქეც,
ბოლო დროსაც ბედოვლათათ
შევიქენ!
რომელს დავაბრალო, რისაგან არის?
ეს საქმე სულ ჩემი ჭკვისაგან არის.

*

თითქმის ვიყავ ქვეყანაში ქებული,
ჭიქასავით ოქროს ყუთში დებული,
ეს რა მამივიდა ახირებული,
რაც მომიხდა განუსჯელობით არი!
ბრინჯი ვიყავ, ქერობა რათ მინდოდა,
მტრედი ვიყავ, მწყერობა
რათ მინდოდა?
მოდი მითხარ, მწირობა
რათ მინდოდა?
ვეჭვობ ჩემი უბედური ჭკვისგან არი...

*

აგერ მილმა ურმებიცა ამართეს,
საფრანგეთის ტურფა ხაზი გამართეს,
ალთი მიშულ სატუსაღოთ წამართეს,
ამიტომ რომ ერთსა ქოხში სდგეხარო.
საათნავა შეინახე შენთანა,
საჯინიბოს დააყენე ცხენათა!
ველარ წავა ერეკლესთან ბრძენთანა!
რომელც დავაბრალო რისაგან არის,
ეს საქმე ჩემი ჭკვისაგან არის...

ბერობა რომ დაუტოვებია, ჩამოსულა თფილისში. ამავე ხანებში გავარდნილა ხმა მეორედ აღა-მაჰმად-ხანის მოსვლისა. ხალხი თურმე საშინლად შეწუხებულა და საათნავასაც თავის ქალები დუშეთისაკენ გაუგზავნია; და თვითონ კი აქ დარჩენილა და მეფე ერეკლესთვის უთქვავს: მე აქ დავბადებულვარ, აქავ უნდა მოვკვდეო მტერთან ბრძოლაშიო!

და მართლაც, ისა და იმის თანამედროვე მეჭიანურეები თარი-ჩონგურით გაძღოლიან მეფე ერეკლეს ჯარს წინ. თუმცა ორთაჭალასთან დაუმარცხებიათ ქართველებს, მაგრამ შემდეგ მტერს გაუმარჯვნია და მოსდგომიან ნარიყალას ციხეს (სოლოლაკს), სადაც საათნავა და მისი მეგობარი ხალხი გაქიშპებული დახვედრიან; მაგრამ მაინც თათრებს დაუძლევიათ და სხვათა შორის საათნავაც მოუკლავთ იქა. ზოგნი იძახიან, ვითომც ის თფილისის სომხების ეკლესიაში მოკლესო და იმავ ეკლესიაში არისო დამარხულიო; ზოგნი კი ამბობენ, რომ საათნავა ციხის კართან მოუკლავთო. ის დაუსაფლავებიათ ავლაბრის სასაფლაოზე, სადაც მისი ცოლიც ასაფლავია და იმისი ქვის ზედ წარწერა დღესაცა სჩანს.

აი ის წარწერა:

„ქ-ს უნვ მოქცევა

„ქ. საფლავსა ამასა შინა ვარ საათნავას მეუღლე, მარიამი, შენდობა იბძანეთ.“

ზ. მთაწმინდელი,
„დროება“, 1878 წელი, N120

მადლობა
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია მადლობას უხდის ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, ბიზნესმენს
გელა ლონდარიძეს
ფინანსური დახმარებისთვის

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com